



სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის
კორპორაცია“

2024 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში "კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"

8 ივლისი 2025 წელი



სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,115,577	1,124,841
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	14	12,630	17,708
არამატერიალური აქტივები		46	42
ფინანსური იჯარის მოთხოვნა	15	97,738	91,757
გაცემული სესხები		-	195
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	-	3,751
ძებნა-ძიებისა და შეფასების აქტივი	1	12,286	11,916
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	7	4,219	1,541
გრძელვადიანი აქტივები		1,242,496	1,251,751
გაცემული სესხები		-	13
მარაგები	13	34,322	25,696
გადახდილი ავანსები	14	160,190	140,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	401,319	244,930
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	348,233	376,975
მოკლევადიანი აქტივები		944,064	787,912
სულ აქტივები		2,186,560	2,039,663
კაპიტალი	18		
განთავსებული კაპიტალი		697,895	695,055
დამატებით გადახდილი კაპიტალი		75,230	75,230
სხვა კაპიტალის რეზერვი		-	55,195
სამართლიანი ღირებულების რეზერვი			
მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის		(282,181)	(282,181)
გაუნაწილებელი მოგება		746,544	591,873
კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი კაპიტალი		1,237,488	1,135,172
არამაკონტროლებელი წილები	23	81,900	-
სულ კაპიტალი		1,319,388	1,135,172
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	20	-	126,831
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	126,831
სესხები და კრედიტები	20	571,681	613,133
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	277,971	157,037
მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულებები	11(a)	17,520	7,490
მოკლევადიანი ვალდებულებები		867,172	777,660
სულ ვალდებულებები		867,172	904,491
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,186,560	2,039,663

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-59 გვერდებზე.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2024 წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	1,648,694	1,404,908
გაზისა და ნავთობის თვითღირებულება	6	(1,313,223)	(1,201,992)
ცვეთა		(64,422)	(63,641)
პერსონალის ხარჯები		(46,182)	(40,293)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა (გაუფასურების ზარალი)/გაუფასურების ზარალის		(13,092)	(14,445)
აღდგენა სავაჭრო მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე	22(b)	(6,494)	699
სხვა ხარჯები	8	(22,143)	(18,170)
სხვა შემოსავალი	9	8,206	11,757
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		191,344	78,823
ფინანსური შემოსავალი	10	41,744	34,774
ფინანსური ხარჯები	10	(49,680)	(63,537)
წმინდა ფინანსური ხარჯები		(7,936)	(28,763)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		183,408	50,060
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	-
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		183,408	50,060
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
ჯგუფის მესაკუთრეებს		168,970	50,060
არამაკონტროლებელ წილებს		14,438	-
		183,408	50,060

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 8 ივლისს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:


გიორგი ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი




კაკაბერძენე სისაური

ფინანსურ და ქონების
მართვის საკითხებში
დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული
უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების და განთავსებულია 10- 59 გვერდებზე.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2024 წლის კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი						არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
	განთავსებული კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	სხვა კაპიტალის რეზერვი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
’000 ლარი								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	694,656	67,627	55,195	(282,181)	543,051	1,078,348	-	1,078,348
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	-	50,060	50,060	-	50,060
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან შენატანები და განაწილებები								
სააქციო კაპიტალის ზრდა (იხილეთ შენიშვნა 18(a))	399	-	-	-	-	399	-	399
სხვა	-	7,603	-	-	(1,238)	6,365	-	6,365
სულ შენატანები და განაწილებები	399	7,603	-	-	(1,238)	6,764	-	6,764
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	695,055	75,230	55,195	(282,181)	591,873	1,135,172	-	1,135,172
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	695,055	75,230	55,195	(282,181)	591,873	1,135,172	-	1,135,172
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	-	168,970	168,970	14,438	183,408
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან შენატანები და განაწილებები								
სააქციო კაპიტალის ზრდა (იხილეთ შენიშვნა 18(a))	2,840	-	-	-	-	2,840	-	2,840
შვილობილი კომპანიის საკუთრების ცვლილება კონტროლის დაკარგვის გარეშე (იხ. შენიშვნა 18(d))	-	-	(55,195)	-	(12,267)	(67,462)	67,462	-
სხვა	-	-	-	-	(2,032)	(2,032)	-	(2,032)
სულ შენატანები და განაწილებები	2,840	-	(55,195)	-	(14,299)	(66,654)	67,462	808
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	697,895	75,230	-	(282,181)	746,544	1,237,488	81,900	1,319,388

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 59 გვერდებზე.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2024 წლის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1,722,652	1,804,557
მომწოდებლებისა და დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(1,550,876)	(1,688,784)
სახელმწიფოსგან დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნება		26,754	53,100
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადების და პროცენტის გადახდამდე		198,530	168,873
გადახდილი პროცენტი	20	(34,653)	(30,470)
მიღებული პროცენტი		27,669	27,977
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		191,546	166,380
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა, გადახდილი ავანსების ჩათვლით		(36,940)	(26,239)
ძებნა-ძიებისა და შეფასების აქტივში შენატანი		(356)	(961)
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული შენატანები		(2,679)	(101)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(39,975)	(27,301)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდები		-	(2,828)
სესხებიდან მიღებული შემოსულობები		-	-
სესხების დაფარვა	20	(179,664)	(144,095)
არამაკონტროლებელი წილების შეძენა		-	-
საფინანსო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(179,664)	(146,923)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(28,093)	(7,844)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		376,975	386,170
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(649)	(1,351)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	17	348,233	376,975

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10- 59 გვერდებზე.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშვალდებული საწარმო	11	17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26
2. აღრიცხვის საფუძველი	14	18. კაპიტალი	26
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	14	19. კაპიტალის მართვა	27
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	15	20. სესხები და კრედიტები	28
5. შემოსავალი	16	21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
6. გაზისა და ნავთობის თვითღირებულება	18	22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	30
7. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	19	23. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არამაკონტროლებელი წილები	36
8. სხვა ხარჯები	20	24. კაპიტალური და სხვა ვალდებულებები	39
9. სხვა შემოსავალი	20	25. პირობითი ვალდებულებები	39
10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	20	26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	43
11. გადასახადები	21	27. შემდგომი მოვლენები	45
12. ძირითადი საშუალებები	22	28. შეფასების საფუძველი	45
13. მარაგები	23	29. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	45
14. გადახდილი ავანსები	23	30. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	58
15. ფინანსური იჯარის მოთხოვნა	24		
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25		

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) მოიცავს სააქციო საზოგადოებებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. „კომპანია“ დაფუძნდა 2006 წლის 6 აპრილს, როგორც 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2006 წლის 21 მარტის ბრძანების საფუძველზე. დაარსების შემდეგ, კომპანია ორი ქართული სახელმწიფო კომპანიის ერთადერთი აქციონერი გახდა: სს „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია“ და სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“, რომლებიც შემდგომ შეერწყა კომპანიას 2006 წლის ოქტომბერში და 2007 წლის მაისში, შესაბამისად. დაარსების შემდეგ, კომპანია ასევე გახდა სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ ერთადერთი აქციონერი, თუმცა მისი წილები სს „თელეთის ნავთობის კომპანიაში“ შემდგომ დაუბრუნდა სახელმწიფოს, 2007 წლის ნოემბერში. მიუხედავად ამისა, მისი აქტივების არსებითი ნაწილი (მათ შორის ნავთობისა და გაზის ჭაბურღილები და დაკავშირებული ინფრასტრუქტურა) გადაეცა კომპანიას.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: კახეთის გზატკეცილი №21, თბილისი 0190, საქართველო. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 206237491.

„ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის იმპორტი და საბითუმო გაყიდვა, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, გაზის მილსადენების იჯარა და ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება და მოპოვება საქართველოში. გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების შემდეგ, 2015 წლის ივლისის თვეში, ელექტროენერგიის გამომუშავება დაემატა „ჯგუფის“ ძირითად საქმიანობებს. 2015 წლის 7 სექტემბერს, გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან მიიღო ოპერირების ლიცენზია შეუზღუდავი პერიოდით და დაიწყო შემოსავლის გენერირება საქართველოში ელექტროენერგიის ბაზარზე დერეგულირებული ტარიფების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №475-ის შესაბამისად, გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურს მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის ოპერატორის სტატუსი 2040 წლის 1 ოქტომბრამდე.

2017 წელს, „კომპანიამ“ დაიწყო გარდაბნის მე-2 კომბინირებული ციკლის თბოსადგურის („გარდაბანი 2“) მშენებლობა. გარდაბანი-2 კომბინირებული ციკლის თბოსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ - სა და მშენებლობაზე პასუხისმგებელ კომპანიას შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2020 წლის 28 თებერვალს. 2020 წლის 25 მარტს, გარდაბნის თბოსადგური 2-მა მოიპოვა შეუზღუდავი ვადით ოპერირების ლიცენზია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან და დაიწყო შემოსავლის გენერირება შესაბამისი „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ მიხედვით, რომელშიც ელექტროენერგიის წარმოება, გაყიდვების მოცულობები და ტარიფები არის განსაზღვრული.

2006 წლის დეკემბრის შემდეგ, როდესაც „კომპანიას“ მიენიჭა „ეროვნული ნავთობკომპანიის“ სტატუსი და მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს სახელით, „კომპანია“ იღებს და ყიდის საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფო წილს, სახელმწიფოსა და შესაბამის ინვესტორებს შორის გაფორმებული „პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების“ შესაბამისად.

2018 წლის 16 მარტს, კომპანიამ და "პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებში" მონაწილე ინვესტორებმა, გააფორმეს "სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება", რომლის მიხედვითაც, კომპანიისგან ინვესტორების მიერ აღებული სესხის სანაცვლოდ, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" "პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების" 22%-იანი წილის შესყიდვის შესაძლებლობა მიენიჭა, ჯამში, 3,500,000 აშშ დოლარის წმინდა გადახდის სანაცვლოდ. 2021 წლის 23 ივლისს, ინვესტორებმა და „კომპანიამ“ გააფორმეს არასავალდებულო ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ინვესტორებმა გამოთქვეს სურვილი გადასცენ „კომპანიას“ "პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში" კონტრაქტორის მონაწილეობის წილის 22%, რომელიც კონკრეტულ სალიცენზიო ფართობებს მოიცავს. 2021 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა ბრძანება №2147 და „კომპანიას“, აღნიშნულ "პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში" ინვესტორის მონაწილეობის წილის 22%-ის შეძენის შესაძლებლობის გამოყენების უფლება მისცა. მონაწილეობის წილის შეძენის გარიგება 2021 წლის 29 დეკემბერს განხორციელდა, როდესაც „კომპანიამ“ და ინვესტორებმა კონკრეტულ სალიცენზიო ფართობებზე ერთობლივი ოპერირების ხელშეკრულება გააფორმეს. აღნიშნული გარიგების შედეგად, 10,836 ათასი ლარის ოდენობით ძებნა-ძიებისა და შეფასების აქტივი იქნა აღიარებული.

საქართველოსა და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციით, 2019 წლის 27 დეკემბერს, ძალაში შევიდა საქართველოს ახალი კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (შემდგომში „კანონი“). „კანონი“ მოითხოვს გარკვეული კანონქვემდებარე აქტების დანერგვას, როგორიცაა ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია („ემბკ“, „EMCD“) და ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფცია („ბგმკ“, „NGMCD“) და ინსტიტუციონალურ განვითარებას ამ კუთხით. „ჯგუფი“ მიჰყვება „კანონით“ განსაზღვრულ გარკვეულ იმპლემენტაციის განრიგს, რომლის მიხედვით, აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნებათ მყისიერი გავლენა საქართველოს ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის ბაზარზე და მის მონაწილეებზე („ჯგუფის“ ჩათვლით).

ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფცია („ბგმკ“) და ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია („ემბკ“) ითვალისწინებს გამჭვირვალე, ღია და კონკურენტუნარიანი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის დანერგვას და ეტაპობრივ განვითარებას საქართველოში, რომლებიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ორგანიზებული ენერგეტიკული ბაზრის ამუშავებას და ენერგომომარაგებისა და გენერირების გადამცემი ქსელების ოპერირებისგან გამიჯვნას.

„ემბკ“ მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილით დათარიღებული № 246 დადგენილებით. „ემბკ“-ს მიხედვით, „დღით-ადრე“, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრები უნდა ამოქმედებულიყვნენ 2021 წლის 1 ივლისიდან, ხოლო „დღის ბაზარი“ - 2022 წლის 1 ივლისიდან. მიუხედავად ამისა, ეს ვადები რამდენჯერმე გადაიდო.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივნისის №181 დადგენილებით „ემბკ“-ში შეტანილი კორექტირებების მიხედვით, დღით ადრე და დღიური ბაზრების ამოქმედება 2024 წლის 1 ივლისიდან იგეგმებოდა, თუმცა აღნიშნულ ბაზრებში მონაწილეობა რჩებოდა ნებაყოფლობითი. თუმცა, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრების შემოღება 2025 წლის 1 ივლისამდე გადაიდო.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 26 ივნისის №233 დადგენილებით „ემბკ“-ში შეტანილი უკანასკნელი კორექტირებების მიხედვით, დღით ადრე და დღიური ბაზრები იქნება ნებაყოფლობითი 2027 წლის 1 ივლისამდე. საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრების ამოქმედება 2027 წლის 1 ივლისამდე გადაიდო.

„ჯგუფის“ ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფის ოპერაციებზე და ფინანსურ შედეგებზე „კანონის“ („ემბკ“) და სხვა თანმდევი კანონქვემდებარე აქტების მიღებას არსებითი გავლენა არ ექნება, რადგან მათი ოპერაციები რეგულირდება შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულებებით, რომლებიც გაფორმებულია „კომპანიას“, შესაბამის შვილობილებს, საქართველოს მთავრობასა და სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს" („ესკო“) შორის და აგრეთვე რეგულირდება, ესკო-სთან გაფორმებული, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებით და სემეკის გადაწყვეტილებებით.

NGMCD დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 სექტემბრის №447 დადგენილებით.

NGMCD-ის თანახმად, „კომპანიას“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ (GGTC) დაევალით ორგანიზებული ბუნებრივი გაზის ბაზრის განვითარების მხარდაჭერა, სხვა საკითხებთან ერთად, დამოუკიდებელი ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის ჩამოყალიბების გზით. 2021 წლის 15 ოქტომბერს, „კომპანიამ“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ (თითოეული ფლობს 50%-იანი წილს) ერთობლივად დააფუძნეს შპს „საქართველოს გაზის ბირჟა“. თუმცა, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილით დათარიღებული დადგენილება N 145-ის მიხედვით, კომპანიას და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირებას კომპანიას“ დაევალით შეუერთდნენ და შეიძინონ წილი სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაში“, რომელიც მოქმედებს ბაზრის ოპერატორის სახით როგორც ელექტროენერგეტიკული, ასევე ბუნებრივი აირის ბაზრებისთვის. სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაში“ 25%-იანი წილის შეძენა მოხდა 2024 წელს, რის შედეგადაც, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ აქციონერები (რომლებიც თანაბარი ოდენობით კაპიტალს ფლობენ) არიან სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, „კომპანია“ და შპს GGTC.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ განხილული კანონის მიღება არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე, რადგან NGMCD არ ზღუდავს კომპანიას ბუნებრივი აირის გაყიდვაში პირდაპირ მომხმარებლებთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების საშუალებით.

საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა

„კანონისა“ და „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2021 წლის 25 მარტის №129 დადგენილების მიხედვით შერჩეულ იქნა დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელი. აღნიშნული მოდელის მიხედვით „კომპანია“ რჩება საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ირიბ მესაკუთრედ. საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა გადაეცა „კომპანიის“ 100% საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანიას, შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“, რომელსაც გადაეცა კომპანიის უფლებები, წილები და ვალდებულებები და რომელიც ჩაენაცვლა „კომპანიას“ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან“ გაფორმებულ მილსადენების იჯარის ხელშეკრულებაში.

განცალკევებას არ ექნება გავლენა „ჯგუფის“ ოპერაციებზე (ჯგუფის დონეზე), რადგან კომპანია, რომელსაც გადაეცემა საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა არის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 100%-იანი შვილობილი კომპანია. კომპანიის მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 23.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ მთლიანად ეკუთვნის სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – მართვის უფლებები). 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 26-ე შენიშვნაში.

(ბ) ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდებიან საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

გარდა ამისა, 2025 წლის აპრილში შეერთებული შტატების მიერ გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტზე ტარიფების დაწესებამ ხელი შეუწყო გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობას. აღნიშნული ზომები გავლენას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებსა და ინვესტირების განწყობაზე. ტარიფებისა და სხვა პროტექციონისტული ზომების შემოღებამ, ნავთობის გლობალური ფასების არასტაბილურობამ და რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფას აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის განმავლობაში, დარღვეულ იქნა EBRD-ისგან აღებულ სესხთან დაკავშირებული გარკვეული არაფინანსური კოვენანტები, აღნიშნული კრედიტორს საშუალებას აძლევს მოითხოვოს სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიზანშეწონილად მიაჩნია შემდეგი მიზეზების გამო:

- რადგან „ჯგუფი“ სესხის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დასაფარად საჭირო საკმარისი ოდენობით ფულადი ნაკადების შემოძინებებს გამოიმუშავებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გონივრულად სარწმუნოა, რომ გამსესხებელი არ გამოიყენებს მის უფლებას მოითხოვოს დაუფარავი სესხის მთლიანი ოდენობის ნაადრევი დაფარვა.
- ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ გამოსცა მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ის აცხადებს, რომ მზად არის ახლო მომავალში უზრუნველყოს „ჯგუფის“ ფინანსური მხარდაჭერა, რაც აუცილებელია ჯგუფის საოპერაციო არსებობის გაგრძელებისათვის, იმ შემთხვევაში თუ კოვენანტის დარღვევის გამო მსესხებელი გამოიყენებს სესხის ნაადრევი დაფარვის უფლებას. რადგან „ჯგუფი“ საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სესხის ნაადრევი დაფარვის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს „კომპანიის“ მხარდაჭერას, მანამ სანამ დაფინანსების ახალი წყარო არ იქნება მოძიებული.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, „ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 15 - არა-გარანტირებული ნარჩენი ღირებულების შეფასება;

ხელმძღვანელობის მიხედვით, სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ადგილი არ ჰქონია მსჯელობებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ ოდენობებზე.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„ჯგუფი“ ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 22 (a) - სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

„ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის იმპორტი, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, გაზის მილსადენების იჯარა და ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება და მოპოვება საქართველოში.

'000 ლარი	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:		
ბუნებრივი გაზის გაყიდვა	1,170,441	1,018,147
შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან	406,455	321,604
შემოსავალი ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	26,728	19,767
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1,603,624	1,359,518
შემოსავალი გაზის მილსადენების იჯარიდან	44,501	44,501
ნავთობის ტრანსპორტირების საფასური ფინანსური ლიზინგის ფარგლებში (შენიშვნა 15)	569	889
სულ სხვა შემოსავალი	45,070	45,390
სულ შემოსავალი	1,648,694	1,404,908

შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან მოიცავს შემოსავალს გარანტირებული სიმძლავრის საფასურიდან 107,536 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელს: 108,329 ათასი ლარი) და ელექტროენერგიის წარმოებიდან მიღებულ შემოსავალს 298,919 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელს: 213,275 ათასი ლარი).

ნედლი ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს ნავთობის გაყიდვას პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებიდან და „ჯგუფის“ მიერ მოპოვებული ნავთობის გაყიდვებს.

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მიიღება აზერბაიჯანიდან აღმოსავლეთ ევროპისკენ, შავი ზღვის ქვეყნებში, ბაქო-სუფსის მილსადენის საშუალებით ნავთობის ტრანზიტისთვის, 2022 წლიდან, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ნავთობის ბაქო-სუფსის მილსადენით გადაზიდვა შეწყდა, თუმცა, ის ნაწილობრივ აღდგა 2023 და 2024 წლებში.

„ჯგუფი“ მის ძირითად გაზის მილსადენების სისტემას და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას იჯარით გასცემს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (GGTC).

საიჯარო ხელშეკრულება GGTC-სთან გახანგრძლივებულია და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრამდე. 2021 წლის 1 იანვრიდან ფიქსირებული საიჯარო საფასური შეადგენს 44,501 ათას ლარს წელიწადში (დღგ-ს გარეშე) და აღნიშნული არ შეცვლილა 2024 წელს. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ პასუხისმგებელია მაგისტრალური გაზსადენების სისტემის რემონტზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, ოპერირებასა და უსაფრთხოებაზე. ჯგუფი პასუხს აგებს მხოლოდ კაპიტალურ დანახარჯებზე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 26-ე შენიშვნაში.

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები, რომლებიც შეტანილია „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“	16	392,476	236,011

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან არ წარმოშობილა სახელშეკრულებო აქტივები ან სახელშეკრულებო ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(c) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

საქონლის/ მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ბუნებრივი გაზის გაყიდვა	მომხმარებლები მოიპოვებენ კონტროლს გაზზე, როდესაც ხდება მისი მიწოდება „მიწოდების წერტილ(ებ)ში“, რომლებიც მითითებულია მომხმარებლებთან გაფორმებულ შესაბამის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში. ინვოისები გამოიწერება არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. არსებობს გადახდის ორი ძირითადი სახეობა. პირველ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობების მიხედვით ვალდებულების დაფარვა ნაწილობრივ ხდება ავანსად (არაუგვიანეს ყოველი თვის 28 რიცხვისა) და დარჩენილი თანხის დაფარვა ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლომდე. ხელშეკრულების მიხედვით საურავების დარიცხვა დაგვიანებით გადახდისთვის, ხდება დაუყოვნებლივ, გადაუხდელ ნაშთზე გადახდის ვადის თარიღის შემდგომი კალენდარული დღიდან. მეორე სახეობაში, გადახდის პირობები ცვალებადია თითოეული კლიენტისთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში გადახდები უნდა განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო 28-ე დღისა. 2024 წლის განმავლობაში, ძირითადად მეორე სახეობის გადახდის პირობები გამოიყენებოდა.	შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილებასთან ერთად და მისი შეფასება ხდება „შედეგების მეთოდის“ გამოყენებით, „მიწოდების წერტილ(ებ)ში“ მიწოდებული გაზის ფაქტობრივი მოცულობების მიხედვით. ოპერაციის ფასი მოიცავს გაზის თვითღირებულებას და საურავებს, დაგვიანებული გადახდებისათვის (ცვალებადი ანაზღაურება).
შემოსავალი ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება, როდესაც „ჯგუფი“ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნავთობს „ჯგუფის“ საწყობში (EXW – Incoterms).	შემოსავალი ნავთობის გაყიდვიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც ნავთობი

საქონლის/ მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
	ინვოისი გამოიწერება ნავთობის გაყიდვისას. გადახდის პირობები ინდივიდუალურ მომხმარებელთან ხელშეკრულებით არის შეთანხმებული და, როგორც წესი, ხორციელდება ინვოისის გაცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა.	გადაცემულია/მიწოდებულია „ჯგუფის“ საწყობიდან მომხმარებლისთვის.
შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან	შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიწოდებულია და მოხმარებულია მომხმარებლის მიერ. ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურება ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლომდე.	შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობის და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ტარიფების მიხედვით. მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხდება მრიცხველებით. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განისაზღვრება სემეკის დადგენილების მიხედვით და დღიური ფიქსირებული გადასახადი გადასახდელია 290 დღეზე, 2024 წელს (303 დღე- 2023 წელს)

(d) გეოგრაფიული ინფორმაცია

„ჯგუფის“ შემოსავლები მთლიანად საქართველოში გენერირდება.

(e) ძირითადი მომხმარებლები

2024 წელს, გაზის მიწოდების სეგმენტში ორ მომხმარებელზე განხორციელებულმა გაყიდვებმა შეადგინა 1,129,082 ათასი ლარი, რაც „ჯგუფის“ მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 68%-ს შეადგენს (2023 წელს: 952,093 ათასი ლარი, 68%).

2024 წელს, ელექტროენერგიის წარმოებისა და მიწოდების სეგმენტში ერთ მომხმარებელზე განხორციელებულმა გაყიდვებმა შეადგინა 269,538 ათასი ლარი, რაც „ჯგუფის“ მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 16%-ს შეადგენს (2022 წელს: 226,969 ათასი ლარი, 16%).

6. გაზისა და ნავთობის თვითღირებულება

'000 ლარი	2024	2023
გაზის მიწოდების თვითღირებულება	1,085,066	1,049,627
ელექტროენერგიის წარმოებისა და მიწოდებისთვის მოხმარებული გაზის თვითღირებულება	223,843	148,544
ნედლი ნავთობის გაყიდვებში გამოყენებული ნავთობის თვითღირებულება	4,314	3,821
	1,313,223	1,201,992

ინფორმაცია განყოფილებების შესახებ

'000 ლარი	გაზის მიწოდება		ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება		ნედლი ნავთობის გაყიდვები		სულ	
	2024	2023	2024	2023	2024	2023	2023	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გაზისა და ნავთობის თვითღირებულება	1,170,441	1,018,147	406,455	321,604	26,728	19,767	1,603,624	1,359,518
	(1,085,066)	(1,049,627)	(223,843)	(148,544)	(4,314)	(3,821)	(1,313,223)	(1,201,992)
	85,375	(31,480)	182,612	173,060	22,414	15,946	290,401	157,526

7. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
წილები მეკავშირე საწარმოებში:		
სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟა“-25%	2,678	-
შპს „საერთაშორისო მილსადენის კომპანია „სარმატია“- 16.1%	907	907
სხვა ინვესტიციები	634	634
სულ	4,219	1,541

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ფლობს წილებს სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟასა“ და შპს „საერთაშორისო მილსადენის კომპანია სარმატიაში“. სხვა ინვესტიციებთან ერთად, ჯგუფი ასევე ფლობს წილს შპს „AGRI LNG Project Company“-ში, „White Stream“-ისა და „ტრანს-კასპიური გაზსადენის“ პროექტებში. ჯგუფი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღნიშნულ ინვესტირებულ საწარმოებზე.

„ჯგუფის“ არცერთი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში არ წარმოადგენს საჯარო საწარმოს და შესაბამისად, ისინი არ აქვეყნებენ აქციების ფასების კოტირებას.

მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის მოძრაობა წლის განმავლობაში:

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	1,541	2,253
სახელმწიფოსთვის გადაცემა*	-	(813)
წილების შეძენა**	1,758	-
წლის განმავლობაში განხორციელებული შენატანები**	920	101
ნაშთი 31 დეკემბერს	4,219	1,541

*2023 წელს, ჯგუფმა უფასოდ გადასცა მისი 813 ათასი ლარის ღირებულების 40%-იანი წილი შპს "ენგურის ჰიდრომაკუმულირებელ ელექტროსადგურში" სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნული გარიგების შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ენგურის ჰიდრომაკუმულირებელ ელექტროსადგურში“ განხორციელებულმა ინვესტიციამ ნული შეადგინა.

**2024 წლის თებერვალში ჯგუფმა შეიძინა სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ 25%-იანი წილი, ჯამში 1,758 ათასი ლარის ანაზღაურების სანაცვლოდ. შესყიდვის შემდეგ ჯგუფმა ნაღდი ფულადი სახსრებით, 920 ათასი ლარის ოდენობით დამატებითი კაპიტალში შენატანი განახორციელა.

8. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
ტრანსპორტირება, მასალა, რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა	7,198	7,528
რეგულირების ხარჯები	6,261	4,858
კომუნალური ხარჯები	1,624	1,366
პროფესიული მომსახურება	1,404	645
საოფისე ხარჯები და საოფისე აღჭურვილობის ტექნიკური უზრუნველყოფა	761	1,235
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	680	688
იურიდიული ხარჯები	511	81
დაზღვევის ხარჯები	107	219
სხვა	3,597	1,550
	22,143	18,170

ზემოთ მოცემული პროფესიონალური მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტორული ფირმებისთვის, აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურებების გაწევისთვის გადახდილ თანხებს 387 ათასი ლარის ოდენობით (2023: 442 ათასი ლარი).

9. სხვა შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
პირგასამტეხლოდან მიღებული შემოსავალი	4,663	2,687
ჩამოწერის გაუქმება	-	2,065
ნავთობის გადამუშავება	880	874
საიჯარო შემოსავალი	517	539
სხვა	2,146	5,592
	8,206	11,757

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით	27,812	27,882
დისკონტის პოზიციის დახურვა ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე (შენიშვნა 15)	5,981	5,600
დისკონტის პოზიციის დახურვა ურთიერთდაკავშირებული მხარის მიმართ		
რესტრუქტურისებულ მოთხოვნაზე (შენიშვნა 16, შენიშვნა 26(c)(i))	891	1,292
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	7,060	-
ფინანსური შემოსავალი	41,744	34,774
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(49,680)	(57,601)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	-	(5,936)
ფინანსური ხარჯები	(49,680)	(63,537)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(7,936)	(28,763)

11. გადასახადები

(a) მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულებები

მას შემდეგ, რაც საგადასახადო ორგანოებმა ყველა ტიპის გადასახადისთვის ერთიანი საგადასახადო ბარათი შექმნეს, 2017 წლიდან ჯგუფი აღარ აღრიცხავს გადასახადებს განცალკევებულ ანგარიშებზე და კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახავს საგადასახადო პოზიციის წმინდა შედეგს 17,520 ათასი ლარის ოდენობით ვალდებულების სახით (2023: წმინდა საგადასახადო პოზიცია 7,490 ათასი ლარის ოდენობით აქტივის სახით).

(b) მოგების გადასახადის ხარჯი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მოგების განაწილებაზე (იმ დივიდენდების გარდა, რომელიც ეკუთვნის 2008-2016 წლებში გამომუშავებულ წმინდა მოგებას) ქართულ სამეწარმეო სუბიექტებს შორის (გარდა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული საწარმოსი), რომლებსაც აქვთ იურიდიული საწარმოს სტატუსი საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ განაწილებული დივიდენდები ეკუთვნოდა 2019 წლის გაუნაწილებელ მოგებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აღნიშნული არ ითვლება მოგების განაწილებად და შესაბამისად მოგების გადასახადით არ იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ქართულ მეწარმე სუბიექტებს შორის 2008- 2016 წლებში გამომუშავებული წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება ითვლება შემოსავლების განაწილებად, 2008-2016 წლების კუთვნილი, გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის უფლებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამური გადასახადი, რომელიც შეიძლება გაიქვითოს მოგების გადასახადთან, რომელიც ეხება 2008-2016 წლებში გამომუშავებული წმინდა მოგების დივიდენდების სახით განაწილებას, შეადგენს 47,962 ათას ლარს.

12. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	გაზის და ნავთობის მილსადენები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ელექტროენერგიის წარმოების ერთეული	ნავთობის ჰაბურდილები	მანქანა- დანადგარები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება/დასაშვები საწყისი ღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	450,978	72,525	925,226	29,839	26,531	13,254	142,677	1,661,030
შესყიდვები	-	19	2,023	-	477	1,440	10,547	14,506
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები	-	-	-	-	-	-	2,468	2,468
გადაცემები	3,278	-	2,037	249	265	(178)	(5,651)	-
ჩამოწერები/გასვლები	(748)	-	(229)	-	(264)	(154)	(4,331)	(5,726)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	453,508	72,544	929,057	30,088	27,009	14,362	145,710	1,672,278
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	453,508	72,544	929,057	30,088	27,009	14,362	145,710	1,672,278
შესყიდვები	186	3,300	1,279	25	893	1,230	46,550	53,463
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები	-	-	-	-	-	-	3,571	3,571
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერები/გასვლები	(264)	(134)	-	-	-	(599)	(1,232)	(2,229)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	453,430	75,710	930,336	30,113	27,902	14,993	194,599	1,727,083
ცვეთა და გაუფასურების ზარალები								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	202,019	12,479	205,764	28,435	19,717	11,142	5,319	484,875
წლის ცვეთა	13,202	1,443	45,522	365	1,671	1,439	-	63,642
ჩამოწერები/გასვლები	(652)	-	(228)	-	(114)	(86)	-	(1,080)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	214,569	13,922	251,058	28,800	21,274	12,495	5,319	547,437
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	214,569	13,922	251,058	28,800	21,274	12,495	5,319	547,437
წლის ცვეთა	12,520	1,604	47,226	250	1,398	1,507	-	64,505
ჩამოწერები/გასვლები	(97)	-	-	-	-	(339)	-	(436)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	226,992	15,526	298,284	29,050	22,672	13,663	5,319	611,506
საბალანსო ღირებულებები								
2023 წლის 1 იანვარს	248,959	60,046	719,462	1,404	6,814	2,112	137,358	1,176,155
2023 წლის 31 დეკემბერს	238,939	58,622	677,999	1,288	5,735	1,867	140,391	1,124,841
2024 წლის 31 დეკემბერს	226,438	60,184	632,052	1,063	5,230	1,330	189,280	1,115,577

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები შეადგენს 118,152 ათას ლარს (2023 წელს: 100,082 ათასი ლარი) მშენებარე აქტივების და დაუმონტაჟებელი მოწყობილობების ჯამური 189,280 ათასი ლარის ნაშთიდან (2023 წელს: 140,391 ათასი ლარი). დაუმონტაჟებელი მოწყობილობების უმეტესობა გაზის მილსადენებისგან და თბოსადგურებისთვის კრიტიკული ბუფერული მარაგისგან შედგება, რომელთა გამოყენებაც ჯერ არ დაწყებულა. იმის გამო, რომ საქართველოს ბაზარი არ არის განვითარებული, ძალიან რთულია თბოსადგურების ნაწილების დროული შესყიდვა გადაუდებელ სიტუაციებში, შესაბამისად „ჯგუფს“ უწევს დამატებითი მარაგის შენახვა.

2024 წელს, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა 2,840 ათასი ლარის მიწის ნაკვეთების და სხვა აღჭურვილობის (2023: 399 ათასი ლარის მიწის ნაკვეთები) შენატანი „ჯგუფის“ სააქციო კაპიტალის ზრდის სახით. შეტანილი მიწის ნაკვეთების და მილსადენების თვითღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, გაუფასურების ან ადრე აღიარებული ზარალების აღდგენის მაჩვენებლები არ ყოფილა გამოვლენილი.

13. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მასალები	26,933	18,928
ნედლი ნავთობი	5,703	5,886
სხვა	1,686	882
	34,322	25,696

მასალები მოიცავს ნივთებს, რომლებიც ძირითადად გამოიყენება ჯგუფის ელექტროენერგიის წარმოების ერთეულების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის. 2024 წლის განმავლობაში, „სხვა ხარჯები“-ს მუხლის საშუალებით 3,841 ათასი ლარის ღირებულების მასალები იქნა ჩამოწერილი.

2024 წელს, „ჯგუფის“ მიერ შეძენილი გაზის მთლიანი ოდენობა 1,308,909 ათასი ლარის ოდენობით (2023: 1,198,171 ათასი ლარი) აღიარდა „გაყიდვების თვითღირებულების“ სახით.

2024 წლის განმავლობაში, ნედლი ნავთობის ცვლილება 4,314 ათასი ლარის ოდენობით (2023: 3,821 ათასი ლარი) აღიარდა „გაყიდვების თვითღირებულების“ სახით.

14. გადახდილი ავანსები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	12,630	17,708
მოკლევადიანი აქტივები		
გაცემული ავანსები	160,190	140,298
	172,820	158,006

მოკლევადიანი ავანსების ნაშთი ძირითადად დაკავშირებულია გაზის მომწოდებლებისთვის გადახდილ თანხებთან, კერძოდ, კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company Limited“-ისთვის 142,329 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელს: 122,405 ათასი ლარი) და კომპანია „Azerbaijan Gas Supply Company Limited“-ისთვის (AGSC) 14,282 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელს: 13,193 ათასი ლარი).

15. ფინანსური იჯარის მოთხოვნა

1996 წელს საქართველოს მთავრობა შევიდა 30-წლიან გარიგებაში ნავთობის კომპანიების კონსორციუმთან, რომელმაც იკისრა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სუფსის ნავთობტერმინალამდე ნავთობის მილსადენის სისტემის მშენებლობის და განვითარების ვალდებულება. გარიგების საფუძველზე ნავთობის კომპანიებს მიენიჭათ მითითებული მილსადენის სისტემით ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების უფლება. მილსადენი საქართველოს სახელმწიფო ქონება გახდა. მილსადენის საკუთრების უფლება გადაეცა „კომპანიას“ 2010 წლის ივნის-ივლისში „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის სახით, ნომინალური ღირებულებით 269,299 ათასი ლარი. მილსადენით მოსარგებლე ნავთობკომპანიებისგან „ჯგუფი“ იღებს სატრანზიტო საფასურს ტრანსპორტირებული ნავთობის თითოეულ ბარელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას დაწყების თარიღიდან, იმის გამო, რომ საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას.

„ჯგუფმა“ აღიარა ფინანსური იჯარის მოთხოვნა 39,229 ათასი ლარის ოდენობით იმ თარიღში, როდესაც საკუთრების უფლება მილსადენებზე გადაეცა „ჯგუფს“. ფინანსური იჯარის მოთხოვნა წარმოადგენს წმინდა ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას იჯარაში, რომელიც აქტივების არაუზრუნველყოფილი ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას მოიცავდა იჯარის ვადის ბოლოს, რომელიც დისკონტირდება იჯარაში არსებული საპროცენტო განაკვეთით. 230,070 ათასი ლარის სხვაობა იჯარაში წმინდა ინვესტიციების ნომინალურ და მიმდინარე ღირებულებას შორის აღიარებულ იქნა კაპიტალში სამართლიანი ღირებულების ცვლილების სახით, მესაკუთრის არაფულადი შენატანისთვის.

’000 ლარი	2024	2023
ფინანსური იჯარის მოთხოვნა 1 იანვარს	91,757	86,157
დისკონტის პოზიციის დახურვა ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე	5,981	5,600
ფინანსური იჯარის მოთხოვნა 31 დეკემბრის	97,738	91,757

2024 წლის განმავლობაში, ცვლადმა საიჯარო გადახდებმა ნავთობის ტრანსპორტირებიდან (აღიარებული კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში), შეადგინა 569 ათასი ლარი (2023: 889 ათასი ლარი).

არა-გარანტირებული ნარჩენი ღირებულების შეფასება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ მიმოიხილა იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლისას გამოყენებული სავარაუდო არა-გარანტირებული ნარჩენი ღირებულება, იჯარის ვადის ბოლოს იჯარით აღებული აქტივიდან მოსალოდნელი ადდგენის ღირებულების პოტენციური შემცირების შესაფასებლად.

დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები გამოიყენება სავარაუდო არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულებების მიმოხილვისთვის. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის გადახდილი შეფასება აღემატებოდა მის საბალანსო ღირებულებას. შედეგად, აქტივის არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების შემცირება არ ყოფილა აღიარებული.

არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- მოცულობები პროგნოზირებულია 2026 წლიდან 2029 წლამდე პერიოდში შემცირებული ბიუჯეტირებული ოდენობების და 2029 წლიდან - ისტორიული საშუალო ოდენობების მიხედვით.
- ისტორიული EBITDA-ს მარჯა გამოიყენება საპროექტო პერიოდში.
- გადასახადების შემდეგ დისკონტირების 12.2%-იანი განაკვეთი გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულადი ნაკადების მოთხოვნილ ამონაგების განაკვეთს მსგავსი კომპანიების აშშ დოლარში დენომინირებულ ინვესტირებულ კაპიტალზე.

დისკონტის განაკვეთის ან სხვა ძირითადი დაშვებების გონივრული შესაძლო ცვლილება არ გამოიწვევს მისი საბალანსო ღირებულების შემცირებას.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
რესტრუქტურირებული მოთხოვნები*	-	3,751
სულ გრძელვადიანი	-	3,751
 მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	396,926	240,391
რესტრუქტურირებული მოთხოვნები*	4,140	4,510
სხვა მოთხოვნები	253	29
სულ მოკლევადიანი	401,319	244,930
	401,319	248,681

*2017 წლის 16 ნოემბერს, „კომპანია“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია) გააფორმეს ხელშეკრულება მაგისტრალური მილსადენის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის რესტრუქტურირების შესახებ. ხელშეკრულების მხარეებმა შეათანხმეს გადახდის გრაფიკი, რის საფუძველზეც მთლიანი თანხა დაიფარება 2025 წლის ბოლოსთვის. მოთხოვნის რესტრუქტურირაცია გულისხმობს პირობების არსებით მოდიფიკაციას; შესაბამისად, რესტრუქტურირების თარიღისთვის „კომპანია“ შეწყვიტა არსებული მოთხოვნის აღიარება და აღიარა ახალი აქტივი ახალი პირობების გათვალისწინებით. 2017 წელს ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულების დაანგარიშება პირველადი აღიარებისას, მოხდა მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირდა წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 10.86%-ის ოდენობით, რომელიც საბაზრო განაკვეთად არის მიჩნეული. 2024 წელს, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ განახორციელა გადახდა 5,000 ათასი ლარის ოდენობით (2023: 5,000 ათასი ლარი), ზემოხსენებული გადახდის გრაფიკის მიხედვით.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	348,228	221,985
მოთხოვნამდე ანაზრები	5	154,990
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	348,233	376,975

მოთხოვნამდე ანაზრები წარმოადგენს ვადიან ანაზრებს ბანკებში სამ თვეზე მეტი დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან და რომლებსაც „ჯგუფს“ აქვს ანაზრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, დაუყოვნებლივ, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაზრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაზრს.

საკრედიტო, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებზე „ჯგუფის“ დამოკიდებულება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

18. კაპიტალი

(a) განთავსებული კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული	ჩვეულებრივი აქციები	
	2024	2023
ნომინალური ღირებულება	20 ლარი	20 ლარი
რაოდენობა 1 იანვრის მდგომარეობით	34,752,840	34,732,874
აქციების გამოშვება არაფულადი აქტივების შენატანების სანაცვლოდ	141,906	19,966
რაოდენობა 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,894,746	34,752,840

ჩვეულებრივი აქციები

ყველა აქცია იქნა განთავსებული და სრულად გადახდილია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და კომპანიის შეხვედრებზე აქვთ ხმის მიცემის უფლება - თითო ხმა თითო აქციაზე.

2023 წელს, ჯგუფმა განაახლა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტები და განახლებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად „საწესდებო კაპიტალის“ ცნება „განთავსებული კაპიტალით“ ჩაანაცვლა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განთავსებული კაპიტალი 697,895 ათას ლარს შეადგენდა (2023: 695,055 ათასი ლარი).

2024 წლის განმავლობაში, „კომპანიის“ მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა „კომპანიის“ სააქციო კაპიტალში გაეკეთებინა ძირითადი საშუალებების შენატანი ნომინალური ღირებულებით 2,840 ათასი ლარი (2023: 399 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები და მილსადენები), რაც დაახლოებით ტოლია ამ აქტივების სამართლიანი ღირებულების გადაცემის დღისთვის.

(b) დამატებით გადახდილი კაპიტალი

დამატებით გადახდილი კაპიტალი წარმოადგენს „ჯგუფისთვის“ საქართველოს მთავრობის (რომელიც ასრულებს მისი აქციონერის ფუნქციას) მიერ გადაცემულ სარგებელს.

სააქციო კაპიტალის გაზრდისას, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობას და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკეული კომპონენტის სახით, როგორც „დამატებითი შენატანები კაპიტალში“.

(c) დივიდენდები

2024 და 2023 წლებში, ჯგუფს არ გამოუცხადებია დივიდენდები.

(d) სხვა კაპიტალის რეზერვი და არამაკონტროლებელი წილები

2022 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული დადგენილების შესაბამისად, „სნგკს“-მ შეიძინა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ დარჩენილი 49%-იანი წილი. დადგენილებაში იყო პუნქტი, რომელიც „სნგკს“-ს ავალდებულებდა ან გაეყიდა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წილი 2023 წლის განმავლობაში, ან, თუ გაყიდვა არ განხორციელდებოდა, 21.716%-იანი წილი დაებრუნებინა სს „განვითარების ფონდისთვის“.

თავდაპირველი აღიარებისას, 21.716%-იანი წილის სამართლიანი ღირებულება, რომელიც 55,195 ათას ლარს შეადგენდა, კლასიფიცირებული იყო, როგორც „სხვა კაპიტალის რეზერვი“.

2024 წლის 18 იანვარს, დადგენილების პირობების შესაბამისად, კორპორაციამ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 21.716%-იანი წილი სს „განვითარების ფონდს“ გადასცა. რადგან აღნიშნულმა გარიგებამ, არ გამოიწვია შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ კონტროლის დაკარგვა, იგი აღირიცხა, როგორც კაპიტალის მფლობელებთან განხორციელებული გარიგება ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად. შედეგად, მოხდა „სხვა კაპიტალის რეზერვი“-ს აღიარების შეწყვეტა და აღიარდა 67,462 ათასი ლარის ოდენობით არამაკონტროლებელი წილი, ხოლო შედეგად მიღებული 12,267 ათასი ლარის სხვაობა აღირიცხა პირდაპირ კაპიტალში, როგორც გაუნაწილებელი მოგების კორექტირება.

2024 წლის 1 თებერვალს, სს „განვითარების ფონდმა“ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 21.716%-იანი წილი სს „საქართველოს რკინიგზას“ გადასცა, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ არამაკონტროლებელ აქციონერს წარმოადგენს (შენიშვნა 23).

19. კაპიტალის მართვა

„ჯგუფს“ არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას „ჯგუფის“ საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, და ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის, „ჯგუფის“ შემოსავლებისა და მოგების და იმ გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებიც ძირითადად „ჯგუფის“ საოპერაციო ფულადი ნაკადებით და ვალით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, „ჯგუფი“ მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

„კომპანია“ ან/და მისი შვილობილი კომპანიები არ წარმოადგენენ გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

20. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია „ჯგუფის“ პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე „ჯგუფის“ დამოკიდებულებების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი ვალდებულებები		
დაკავშირებული მხარის სესხი	-	126,831
	-	126,831
მოკლევადიანი ვალდებულებები		
დაკავშირებული მხარის სესხი	141,431	113,706
სესხი საერთაშორისო ბანკისგან	430,250	499,427
	571,681	613,133

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი		31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
		ნომინალური		დაფარვის		ნომინალური		დაფარვის	
		ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	წელი	ღირებულება	საბალანსო ღირებულება	წელი	ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სესხი საერთაშორისო ბანკისგან	ევრო	6-თვიანი EURIBOR + 3.3%	2031	430,250	430,250	2031	499,427	499,427	
დაკავშირებული მხარის სესხი	ლარი	9.30%	2025	147,465	141,431	2025	255,972	240,537	
სულ პროცენტური ვალდებულებები				577,715	571,681		755,399	739,964	

სესხი საერთაშორისო ბანკისგან

EBRD-თან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების შედეგად, „კომპანია“ 2020 წლის სექტემბერში ხელი მოაწერა 217 მილიონი ევროს 10-წლიან არაუზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებას, რომელიც საკმარისი იყო გადასახდელი 250 მილიონი აშშ დოლარის ევროზღივების და მათზე დარიცხული კუპონის დასაფარავად.

250 მილიონი აშშ დოლარის ევროზღივების და მათზე დარიცხული კუპონის სრული დაფარვა მოხდა 2021 წლის აპრილში. ევროზღივების დაფარვისთვის გამოყენებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 853,734 ათასი ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, დარღვეულ იქნა EBRD-ის სესხის გარკვეული არაფინანსური კოვენანტები, რაც გამსესხებელს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვა.

ჯგუფი გამსესხებელთან მოლაპარაკებების პროცესშია, რათა მოიპოვოს უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი დარღვეული სესხის კოვენანტებისთვის.

სესხის კოვენანტის დარღვევის და მისი „მოთხოვნამდე“ კატეგორიაში კლასიფიცირების გამო მიჩნეულია, რომ EBRD-ისგან აღებული სესხის საბალანსო ღირებულება მის სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

დაკავშირებული მხარის სესხი

2022 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ, ჯგუფის ლიკვიდურობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ჯგუფზე გასცა 230,000 ათასი ლარის ოდენობით სუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი სესხი. სესხი შედგავთიანი პირობებით იქნა მიღებული. შესაბამისად, თავდაპირველი აღიარებისას სესხი იქნა დისკონტირებული 11.5%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. 7,830 ათასი ლარის დისკონტირება აღიარებულ იქნა როგორც „დამატებითი შენატანები კაპიტალში“ 2022 წლის განმავლობაში, თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის. 2023 წლის განმავლობაში, მოხდა სესხის პირობების მოდიფიცირება და სესხის დაფარვის ვადა იქნა გახანგრძლივებული 2025 წლის ბოლომდე. 7,603 ათასი ლარის ოდენობით მოდიფიცირების გავლენა აღიარებულ იქნა როგორც „დამატებითი შენატანები კაპიტალში“ 2023 წლის განმავლობაში, მოდიფიცირების თარიღისთვის. 2024 წელს სესხის ხელშეკრულების პირობებში ცვლილებები არ მომხდარა.

გამოყენებული საკრედიტო ხაზები

2018 წელს, კომპანიამ „KfW“-თან ხელი მოაწერა სასესხო ხელშეკრულებას 150 მილიონ ევროზე, საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის დაფინანსებისთვის.

2020 წელს, COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ფინანსური სირთულეების გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტრომ 2020 წლის 23 აპრილს გამოსცა წერილი, რომლის თანახმად გადაწყდა მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის განკუთვნილი, KfW-სგან მიღებული 150 მილიონი ევროს აუთვისებელი სესხიდან 120 მილიონი ევრო მიემართათ სახელმწიფო ბიუჯეტში, სამთავრობო პროგრამების მხარდასაჭერად, რომელიც ხელს შეუწყობს პანდემიის და მისი შედეგების შემსუბუქებას.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, „კომპანიასა“ და KfW-ს შორის დადებული სასესხო ხელშეკრულება გადახდილ და შემცირებულ იქნა 150 მილიონი ევროდან 30 მილიონ ევრომდე. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, არცერთი ტრანში არ ყოფილა გამოყენებული/ათვისებული და კომპანიამ გადაიხადა სესხის მომსახურების საფასური 110 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულ იქნა ფინანსურ ხარჯებში (2023: 222 ათასი ლარი). საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, 2025 წლის თებერვალში, სესხის ხელშეკრულება გაუქმდა.

ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადობის შეფასებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 2 (ბ).

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	739,964	854,325
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	-	-
სესხების დაფარვა	(179,664)	(144,095)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(179,664)	(144,095)
სხვა ცვლილებები		
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(7,217)	7,738
საპროცენტო ხარჯი	49,680	57,601
დამატებით გადახდილი კაპიტალი	-	(7,603)
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები	3,571	2,468
გადახდილი პროცენტი	(34,653)	(30,470)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	11,381	29,734
ნაშთი 31 დეკემბერს	571,681	739,964

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	273,009	156,414
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	3,831	152
სხვა ვალდებულებები	1,131	471
	277,971	157,037

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე ჯგუფის დაქვემდებარება განხილულია 22-ე შენიშვნაში.

22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ ფასით, რომელიც სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გონივრულად არის მიახლოებული მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით „ჯგუფი“ შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა (b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა (c));
- საბაზრო რისკი (იხილეთ (d)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

„ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „ჯგუფის“ ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა „ჯგუფის“ კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება იყო შემდეგი:

’000 ლარი	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	401,319	248,681
გაცემული სესხები		-	208
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	348,233	376,975
		749,552	625,864

(iii) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე უმეტესწილად განპირობებულია მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მისი მომხმარებლების ბაზის საკრედიტო რისკზე, იმ ინდუსტრიის და ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომელშიც ოპერირებენ მომხმარებლები. შემოსავლების კონცენტრაციაზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

სავაჭრო მოთხოვნებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკის შეზღუდვა ხდება კორპორატიული კლიენტებისთვის მაქსიმალური გადახდის პერიოდის (ერთი თვე) დაწესებით. ამასთანავე, ზოგიერთი კლიენტის შემთხვევაში რისკი იმართება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის გზით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით უზრუნველყოფა ზოგადად არ მოითხოვება. „ჯგუფს“ არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნები, რომლებზეც არ აღიარდება ზარალის რეზერვი უზრუნველყოფის არსებობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ადგილობრივი	401,307	248,669
დსთ-ს ქვეყნები	12	12
	401,319	248,681

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება საანგარიშგებო თარიღისთვის კლიენტების ტიპების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაზის დისტრიბუტორები	295,156	156,123
ელექტროენერგიის დისტრიბუტორები	97,320	79,340
გაზის მილსადენების საიჯარო ქირა (შენიშვნა 16)	8,516	12,670
სხვა	327	548
	401,319	248,681

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, „ჯგუფის“ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლის მიმართ არსებული მოთხოვნების საბალანსო ღირებულება 287,713 ათას ლარს შეადგენდა (2023: 148,067 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული კლიენტებისთვის

„ჯგუფის“ მიერ საკრედიტო რისკების დონეების მიხედვით გადანაწილება ხდება იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ზარალის რისკის განსაზღვრა (მათ შორის გარე რეიტინგების, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების, მმართველობითი ანგარიშების და ფულადი ნაკადების პროგნოზების და სხვა, კლიენტთან დაკავშირებული გარე ინფორმაციის საფუძველზე) და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიანიშნებს დეფოლტის რისკზე და შესაბამისობაშია სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგის განმარტებებთან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და კლიენტების მიმართ არსებულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024		
	არ არის გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	საკრედიტო რისკით	საკრედიტო რისკით	
დაბალი რისკი	393,899	-	393,899
საშუალო რისკი	4,140	11,795	15,935
მაღალი რისკი	-	10,071	10,071
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	398,039	21,866	419,905
ზარალის რეზერვი	(1,603)	(16,983)	(18,586)
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	396,436	4,883	401,319

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023		
	არ არის გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	საკრედიტო რისკით	საკრედიტო რისკით	
დაბალი რისკი	235,236	-	235,236
საშუალო რისკი	8,260	4,970	13,230
მაღალი რისკი	-	12,609	12,609
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	243,496	17,579	261,075
ზარალის რეზერვი	(633)	(11,761)	(12,394)
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	242,863	5,818	248,681

ჯგუფი ზემოაღნიშნულ ხარისხებს განსაზღვრავს შემდეგნაირად:

დაბალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს ძლიერი უნარი შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, ნაკლებად სავარაუდოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ხელშეკრულების მხარის გადახდისუნარიანობაზე. საგარეო საკრედიტო რეიტინგი BB- დან B მდე (Fitch).

საშუალო რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს რესტრუქტურიზებული ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ნაკადების ვალდებულებები, რომელიც უნდა დაიფაროს უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ხელშეკრულების მხარის გადახდისუნარიანობაზე. რესტრუქტურიზებული მოთხოვნები კლასიფიცირებულია მე-2 ეტაპზე.

მაღალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს სუსტი უნარი შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, დიდი ალბათობით იქონიებს უარყოფით გავლენას ხელშეკრულების მხარეების გადახდისუნარიანობაზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა

წლის განმავლობაში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	12,394	13,093
წმინდა (ანაზღაურება)/დარიცხვა წლის განმავლობაში	6,192	(699)
ჩამოწერა	-	-
ნაშთი 31 დეკემბერს	18,586	12,394

(iv) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

საბანკო ნაშთები და მოთხოვნამდე ანაზღაურება მირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში, მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. ნაშთები განთავსებულია 1-ელ დონეზე და არ არის ვადაგადაცილებული. „ჯგუფი“ არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაპენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(v) ფინანსური იჯარის მოთხოვნა

ფინანსური იჯარის მოთხოვნის ნაშთი წარმოადგენს საიჯარო ვადის ბოლოს არსებულ არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას დისკონტირებულს იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთით (იხ. შენიშვნა 15). შესაბამისად, ხელშეკრულებამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი არ ატარებს საკრედიტო რისკს და არის ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების ფარგლებს გარეთ, შესაბამისად ფინანსური იჯარის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ ყოფილა აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

(c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „ჯგუფი“ სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. გზით. „ჯგუფის“ მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან „ჯგუფის“ რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ჯგუფის ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს სესხების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კოვენანტების მონიტორინგს.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

'000 ლარი	საბალანსო	სახელშეკრულებო		0-12	1-3
31 დეკემბერი 2024	ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	თვემდე	წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	571,681	587,945	430,250	157,695	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	277,971	277,971	277,971	-	-
	849,652	865,916	708,221	157,695	-

'000 ლარი	საბალანსო	სახელშეკრულებო		0-12	1-3
31 დეკემბერი 2023	ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	თვემდე	წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	739,964	777,157	499,427	120,000	157,726
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	157,037	157,037	-	157,037	-
	897,001	934,194	499,427	277,037	157,726

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

მე-20 შენიშვნაში წარმოდგენილის მიხედვით, ჯგუფს აქვს სესხი, რომელთან მიმართებაშიც მან დაარღვია გარკვეული არაფინანსური კოვენანტი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, რაც სესხის „მოთხოვნამდე“ კატეგორიაში კლასიფიკაციას იწვევს. თუმცა, ჯგუფი გამსესხებელთან მოლაპარაკებების პროცესშია, რათა მოიპოვოს უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი და მოელის, რომ უზრუნველყოფილი სესხის დაფარვა სახელშეკრულებო გრაფიკის მიხედვით განხორციელდება.

(d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს „ჯგუფის“ შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ბაზრის რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

(i) სავალუტო რისკი

„ჯგუფი“ ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ შესყიდვებთან, გაყიდვებთან და სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც დენომინირებულია „ჯგუფში“ შემავალი საწარმოების შესაბამისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უპირატესად არის დენომინირებული არის აშშ დოლარი და ევრო.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47	12	-	-
გაცემული სესხები	-	-	-	208
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,299	29,702	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(109,721)	(56,114)	-	-
სესხები და კრედიტები	-	-	(430,250)	(499,427)
წმინდა დაქვემდებარება	(105,375)	(26,400)	(430,250)	(499,219)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის გონივრულად შესაძლებელი 10%-იანი გაუფასურება (2023 წელს 10%), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, 31 დეკემბრისთვის, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა კაპიტალსა და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზი იყენებს დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს პროგნოზირებული ყიდვა-გაყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2024	
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(10,537)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(43,025)
31 დეკემბერი 2023	
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(2,640)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(49,922)

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის გამყარებას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ექნებოდა ზემოთ ნაჩვენები ოდენობის ტოლი, მაგრამ უკუეფექტი იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს ჯგუფი დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხებისა და კრედიტების აღებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთი მეტად სასურველი „ჯგუფისთვის“ მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის „ჯგუფის“ პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
გაცემული სესხები	-	208
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	348,233	376,975
სესხები და კრედიტები	(141,431)	(240,537)
	206,802	136,646

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

„ჯგუფი“ არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნება გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
სესხები და კრედიტები	(430,250)	(499,427)

23. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არამაკონტროლებელი წილები

შვილობილი კომპანია	საკუთრება 2024	საკუთრება 2023
შპს „გარდაბნის თბოსადგური“	78.284%	100%
შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“	100%	100%
შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“	100%	100%
GOGC Trading S.A	100%	100%
შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“	100%	100%
შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“	100%	100%
შპს "საქართველოს გაზის ბირჟა"	50%	50%

შპს „გარდაბნის თბოსადგური“

2013 წლის ოქტომბერში „კომპანია“ და სს „განვითარების ფონდმა“ დააფუძნეს ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაბნის თბოსადგური“ 51% და 49% წილობრივი მონაწილეობით, შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრისა და 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ დარჩენილი 49%-ის შესყიდვა მოეთხოვა, 43,259 ათასი ევროს ოდენობით სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვა შემდეგნაირად განხორციელდა: „ჯგუფმა“ ნაღდი ანგარიშსწორებით გადაიხადა 17,000 ათასი ევრო, რაც აქციების 19.292%-ს შეადგენდა. 7,123 ევროს ოდენობით სს „განვითარების ფონდზე“ გაცემული სესხი იქნა ურთიერთგადაფარული წილების 8.084%-ის საფასურთან. დარჩენილი 19,136 ათასი ევრო (55,195 ათასი ლარის ეკვივალენტური) სს „სნგ“-ს უნდა გადაეხადა მის მიერ „გარდაბნის თბოსადგურის“ 2023 წელს გაყიდვისას, ან იმ შემთხვევაში, თუ გაყიდვა არ განხორციელდებოდა აღნიშნულ პერიოდში, ჯგუფს სს „განვითარების ფონდისთვის“ უნდა დაებრუნებინა 21.716%-ის ოდენობით წილი შპს „გარდაბნის თბოსადგურში“. 2024 წლის 18 იანვარს, გადაწყვეტილების შესაბამისად, სნგ-მ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 21.716%-იანი წილი სს „განვითარების ფონდს“ გადასცა. იხილეთ შენიშვნა 18 (d).

საწესდებო კაპიტალი 100,000 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა. გადახდილი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 175,185 ათას ლარს (2023 წელს: 175,185 ათასი ლარი) შეადგენდა.

შვილობილი კომპანიის, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წესდების თანახმად, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას სჭირდება ერთპიროვნული შეთანხმება. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საკუთრების სტრუქტურის ცვლილების შემდეგ „ჯგუფი“ კვლავ აკონტროლებს შვილობილ კომპანიას, რადგან ის ექვემდებარება (აქვს უფლება) ცვალებად ამონაგებს შვილობილ კომპანიაში მისი ჩართულობიდან და მას შესწევს უნარი გავლენა იქონიოს ამგვარ ამონაგებზე, შვილობილ კომპანიაზე მისი უფლებამოსილების გამოყენების გზით. დასკვნა ეფუძნება საკუთრების წილის პროცენტულ მაჩვენებელს და შვილობილი კომპანიის წესდებაში განსაზღვრული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, რომლისთვისაც მხოლოდ ხმების მარტივი უმრავლესობა მოითხოვება.

შვილობილი კომპანია გარდაბნის თბოსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით შეიქმნა. სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ივლისში დასრულდა. გარდაბნის თბოსადგურმა შემოსავლის გამოიმუშავება 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ინფორმაცია „ჯგუფის“ შვილობილი კომპანიის, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ შესახებ, რომელსაც აქვს არსებითი არამაკონტროლებელი წილი.

’000 ლარი	31 დეკემბერი 2024
არამაკონტროლებელი წილის პროცენტულობა	21.716%
გრძელვადიანი აქტივები	328,415
მოკლევადიანი აქტივები	91,482
გრძელვადიანი ვალდებულებები	-
მოკლევადიანი ვალდებულებები	(42,755)
წმინდა აქტივები	377,142
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	81,900
შემოსავალი	242,944
მოგება	66,487
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	66,487
არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებული მოგება	14,438
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	90,633
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(8,250)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(46,917)
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	35,466

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“

2016 წლის აგვისტოში შეიქმნა ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“, საწესდებო კაპიტალით 10,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელშიც „კომპანია“ 100%-იან წილს ფლობს. 2017 და 2018 წლების განმავლობაში, „ჯგუფმა“ დამატებითი ინვესტიცია განახორციელა შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის კაპიტალში და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახალი შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალმა 350,193 ათასი ლარი შეადგინა. 2019 წლის თებერვალში, „კომპანიამ“ მიიღო გადაწყვეტილება 266,909 ათას ლარამდე შეემცირებინა შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის საწესდებო კაპიტალი. 2021 წელს, კომპანიამ 70 ათასი ლარით გაზარდა მისი ინვესტიცია შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ში. შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 266,979 ათას ლარს შეადგენდა.

შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“

2021 წლის თებერვალში, კომპანიამ დაარსა ახალი შვილობილი კომპანია, შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“, 100%-იანი საკუთრების წილით. ახალი შვილობილი კომპანიის მიზანია გარდაბანში მესამე ელექტროსადგურის მშენებლობა და შემდგომი ფუნქციონირება. 2024 წლის განმავლობაში, „კომპანიის“ ინვესტიციამ „გარდაბნის თბოსადგური 3“-ში შეადგინა 1,075 ათასი ლარი, ფულადი შენატანების სახით. „გარდაბნის თბოსადგური 3“-ის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა.

GOGC Trading S.A

2017 წლის აგვისტოში, დარეგისტრირდა ახალი შვილობილი კომპანია „GOGC Trading SA“, რომლის რეგისტრირებული მისამართია ჟენევა, შვეიცარია. „ჯგუფის“ მიზანს წარმოადგენს ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობ-ქიმიკატების და სხვა საქონლით ვაჭრობა, ასევე ლოგისტიკა, აღნიშნული შვილობილი კომპანიის მეშვეობით. „კომპანია“ 100%-იან წილს ფლობს შვილობილ კომპანიაში, ფიქსირებული სააქციო კაპიტალით 100,000 შვეიცარული ფრანკის ოდენობით.

2020 და 2019 წლებში დამატებითი შენატანი 450 ათასი და 450 ათასი შვეიცარული ფრანკის ოდენობით, შესაბამისად, განხორციელდა GOGC Trading SA-ის კაპიტალში. 2024 წლის განმავლობაში „GOGC Trading S.A“-ში ნაღდი ფულით განხორციელებულმა შენატანებმა 60 ათასი შვეიცარული ფრანკი შეადგინა.

შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“

2018 წლის ოქტომბერში, დაფუძნდა ახალი შვილობილი კომპანია შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“ (შემდგომში - სგკ), იურიდიული მისამართით - თბილისი, საქართველო, რომელშიც „კომპანია“ ფლობს 100%-იან წილს. წესდების მიხედვით, სგკ-ს თავდაპირველი კაპიტალი განისაზღვრა 100 ათასი ლარით. სგკ დაფუძნდა საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისა და ოპერირებისთვის. 2024 წლის ბოლოსთვის მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა არ დაწყებულა.

შპს "საქართველოს გაზის ბირჟა"

2021 წლის ოქტომბერში, კომპანიამ, შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან" ერთად, თითოეულის 50%-იანი მონაწილეობის წილით, დააარსა ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორი შპს "საქართველოს გაზის ბირჟა", "ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის" მოთხოვნების მიხედვით. საწარმოს კაპიტალი 2 ათასი ლარით განისაზღვრა. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის საქმიანობის დაწყება 2025 წელს იგეგმება.

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“

2021 წლის აპრილში, „კომპანია“ დაარსა და დაარეგისტრირა ახალი შვილობილი კომპანია შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“ (GNGTNO) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გადამცემი სისტემის მესაკუთრის სახით მოქმედებს. 2021 წლის განმავლობაში, „კომპანია“, შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში "მაგისტრალური გაზსადენების სისტემა" და 651 ათასი ლარის ოდენობით ფულადი ანაზღაურება შეიტანა.

24. კაპიტალური და სხვა ვალდებულებები

(a) კაპიტალთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის კაპიტალური ვალდებულებები შეადგენდა 29,103 ათას ლარს (2023: 50,361 ათასი ლარი), რაც ძირითადად დაკავშირებულია თბოელექტროსადგურის კაპიტალურ შეკეთებასთან და ძირითადი საშუალებების მშენებლობასა და შეძენასთან.

(b) სხვა ვალდებულებები

„ჯგუფი“ წარმოადგენს დამატებითი გაზის შესყიდვის ხელშეკრულების მხარეს, რომელიც ძალაშია 2026 წლამდე, რომლის თანახმადაც „ჯგუფმა“ უნდა მიიღოს და გადაიხადოს ან აანაზღაუროს (მიღების გარეშე) კონკრეტული რაოდენობის გაზი წინასწარ განსაზღვრული ფასებით, რომლებიც ბუნებრივი გაზის მიმდინარე საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად დაბალია. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, შესასყიდი და გადასახდელი „დამატებითი გაზის“ მთლიანი ნარჩენი ღირებულება 222,618 ათას ლარს შეადგენდა (2023: 320,629 ათასი ლარი).

„ჯგუფი“ ასევე წარმოადგენს გაზის გაყიდვის ხელშეკრულების მხარეს, რის საფუძველზეც მისმა კლიენტმა უნდა მიიღოს და აანაზღაუროს, ან აანაზღაუროს (მიღების გარეშე) „ჯგუფის“ მიერ შესყიდული გაზის მთლიანი რაოდენობა, მათ შორის „დამატებითი გაზის“ მთლიანი რაოდენობა. შედეგად „ჯგუფს“ მიაჩნია, რომ „დამატებითი გაზის“ შესყიდვასთან დაკავშირებით მათი ვალდებულება გაიქვითება „ჯგუფის“ კლიენტის ვალდებულებით, რომელიც მოიცავს გაზის რაოდენობის შესყიდვას და წარმოადგენს ეფექტურ სახელშეკრულებო ურთიერთშეთანხმებას, როდესაც „ჯგუფი“ მის ვალდებულებებს გადასცემს „ჯგუფის“ კლიენტს.

25. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. „ჯგუფს“ არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონებასთან ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება „ჯგუფის“ ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ „ჯგუფი“ არ მოიპოვებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, იარსებებს რისკი, რომ ზარალს ან კონკრეტული აქტივების განადგურებას ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა „ჯგუფის“ ოპერაციებზე და ფინანსურ პოზიციაზე.

(b) სასამართლო დავა

„სგტკ“-ს საქმე:

2017 წლის ოქტომბერში, „კომპანია“ შეიტანა სარჩელი „სგტკ“-ს („მოპასუხე“) წინააღმდეგ, რომლითაც ის ითხოვდა „მოპასუხის“ მიერ „კომპანიისთვის“ ბუნებრივი გაზის ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობის მიუწოდებლობით გამოწვეული დაახლოებით 3,747 ათასი აშშ დოლარის ზარალის ანაზღაურებას.

ამასთან ერთად, „კომპანია“ ითხოვს „კომპანიის“ მიერ „მოპასუხისთვის“ იჯარით გადაცემული მილსადენების სისტემისთვის ამ უკანასკნელის მიერ მისი ოპერირების პერიოდში მიყენებული 706 ათასი ლარის ოდენობის ზარალის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელიც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, არ დააკმაყოფილა სარჩელი. „კომპანია“ საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სნგკ-ს სარჩელი და ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა საჩივრის შეტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საანგარიშგებო თარიღისთვის საჩივარი განხილვაშია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ხელმძღვანელობის მოსაზრებით, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და საანგარიშგებო თარიღის შემდგომი პერიოდისთვის, სასამართლო განხილვის შედეგი გაურკვეველია, რის შედეგადაც „ჯგუფმა“ აღრიცხვაში არ გაატარა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული რაიმე მოთხოვნა.

ფრონტერას საქმე:

2018 წლის ივლისში, „კომპანია“ და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ (შემდეგში - „ნგს“) შეიტანეს სარჩელი „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნის“ (შემდეგში - „ფრჯკ“, „FRGC“) წინააღმდეგ აღძრული საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში. „კომპანია“ და „ნგს“, სხვა მოთხოვნებთან ერთად, აყენებენ საკითხს „ფრჯკ“-ს მიერ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების („პწგბ“) და 1997 წლის 25 ივნისის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კვლევის გარკვეული პირობების არსებითად დარღვევის თაობაზე, რაც მოიცავს საკონტრაქტო ფართობის დაახლოებით 99%-ის დაბრუნების ვალდებულებას, თუმცა არ შემოიფარგლება ამით.

2018 წლის სექტემბერში, „ფრონტერამ“ და შპს „Frontera Resources US (FRUS)“-მა აღძრეს შეგებებული სარჩელი, „კომპანიის“ და „ნგს“-ის მიერ 2012-2027 წლებში „პწგბ“-ს ვითომდა ჩადენილი დარღვევების შედეგად 3,5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის მიუღებელი მოგების ანაზღაურების მოთხოვნით. მიუღებელი მოგების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, „ფრჯკ“-მ და „FRUS“-მა დააყენეს 3,5 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის გადასახადებთან (დღგ და აქციზის გადასახადი) დაკავშირებული მოთხოვნა და მოითხოვეს XII ბლოკის ტერიტორიაზე დაშვების უფლების მოპოვების მიზნით გაწეული 74 ათასი აშშ დოლარის ოდენობის იურიდიული ხარჯების ანაზღაურება. 2019 წელს FRUS-მა გაიტანა შესაგებელი სარჩელი.

2020 წლის 17 აპრილს, საარბიტრაჟო სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება („საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“) სადავო საკითხებთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო სასამართლომ მხარი დაუჭირა „კომპანიის“ და „ნგს“-ის მიერ „პწგბ“-ს ინტერპრეტაციას მხარეთა შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის ნაწილში. საარბიტრაჟო სასამართლომ, დაადგინა, რომ საძიებო ფართობის დაბრუნებასა და სახელმწიფოსთვის გადაცემაზე უარის თქმით მოპასუხემ - „FRGC“-მ, „პწგბ“ არსებითად დაარღვია. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიხედვით, „ფრჯკ“ და „FRUS“-ი ვალდებული არიან აუნაზღაურონ „კომპანიას“ გარკვეული თანხები (კომპანიის მიერ „ფრონტერას“ სახელით გადახდილი ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის თანხა და გადახდის თარიღამდე მასზე დარიცხული პროცენტი, ასევე, „კომპანიის“ მიერ საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები). არბიტრაჟის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ფონზე, კომპანია და SAOG-მა FRGC-ს გადასცეს შეტყობინება პწგბ-ის შეწყვეტის შესახებ. შეტყობინება მოგვიანებით გადაიღო საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

2020 წლის 3 დეკემბერს, შესაბამისი აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ფრონტერა“ ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის პროცედურის ფარგლებში მოექცა და ბ-ნი ენდრიუ მორისონი და ბ-ნი დევიდ გრიფინი „FTI Consulting“-დან იმავე დღეს დაინიშნენ „ფრჯკ“-ს ერთობლივ ნებაყოფლობითი ლიკვიდატორებად („JVL“). თუმცა, 2021 წლის 13 იანვარს, კაიმანის კუნძულების სასამართლოს დიდმა პალატამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც „FRGC“-ს ლიკვიდაცია კაიმანის კუნძულების სასამართლოს დიდი პალატის ზედამხედველობის ქვეშ ჩატარდა და ერთობლივი ნებაყოფლობითი ლიკვიდატორები დაინიშნენ ფრონტერას ერთობლივ ოფიციალურ ლიკვიდატორებად („JOL“).

2021 წლის 10 თებერვალს, ერთობლივმა ოფიციალურმა ლიკვიდატორებმა „ფრჯკ“-ს გადახდისუუნარობა გამოაცხადეს.

ერთობლივმა ოფიციალურმა ლიკვიდატორებმა, „FRGC“-ს სახელით, კომპანიასთან და ნგსს-სთან, 2021 წლის 25 ივნისით და 2021 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული „შეთანხმების წერილები“ („შეთანხმების წერილები“) გააფორმეს. „შეთანხმების წერილები“ ადგენს მხარეთა პირდაპირ შეთანხმებას, რომ კომპანია და ნგსს დაუყოვნებლივ გადმოიბარებენ საკონტრაქტო ფართობს (როგორც განმარტებულია „პწგბ“-ში), მასზე მიმდინარე ნავთობისა და გაზის ყველა ოპერაციას (როგორც განმარტებულია „პწგბ“-ში) და მოპოვებას ნავთობის განკარგვის ჩათვლით (როგორც განმარტებულია „პწგბ“-ში).

2022 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული თანხმობის წერილის საშუალებით, ნგსს და „კომპანია“ ადასტურებენ „პწგბ“-ს ფარგლებში, „ფრონტერას“ ყველა წილის, უფლებისა და ვალდებულების „FRUS“-ისთვის გადაცემას. აღნიშნული გადაცემა დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, მათ შორის, ნგსს-ს და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ „FRGC“-ს კომპანიის ლიკვიდაციაში ნებისმიერი და ყველა მოთხოვნისგან სრულ და საბოლოო გათავისუფლებაზე, რომლებიც წარმოიშება „პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულებიდან“ ან მასთან დაკავშირებით (აღნიშნული მოთხოვნები (მათ შორის ვალდებულებები) „FRUS“-მა იკისრა).

2022 წლის 14 ნოემბერს, ერთი მხრივ, ნგსს-მ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ (საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედი), და მეორე მხრივ, „Frontera Resources Corporation“ („FRC“-მა (ჰიუსტონში (აშშ, ტეხასი) მდებარე საერთაშორისო ნავთობისა და გაზის საძიებო კომპანია) და FRUS-მა (FRC-ის სრულ მფლობელობაში მყოფი შვილობილი კომპანია), ხელი მოაწერეს „ურთიერთგაგების მემორანდუმს“ („MoU“) და დაადასტურეს მათი ურთიერთშეთანხმება „ფრონტერას“ უფლებების, წილების და ვალდებულებების FRUS-ისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. მემორანდუმის თანახმად, FRC-ს და FRUS-ს ეკისრებათ რამდენიმე და ერთობლივი ვალდებულება, გადაუხადონ კომპანიას, „ფრჯკ“-ს და FRUS-ის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიხედვით მოსარჩევეებისთვის გადასახდელი ყველა თანხა („გადახდის ვალდებულებები“) და აანაზღაურონ „ფრჯკ“-ს მიერ „საკონტრაქტო ფართობზე“ მოპოვებული ნავთობის გაუნაწილებლობის შედეგად მიყენებული ზიანი („გადახდის ვალდებულებებთან“ ერთად, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „აგრეგირებული გადახდის ვალდებულებები“).

მემორანდუმის მიხედვით, FRUS აღიარდა, როგორც პწგბ-ს მხარე და ერთი მხრივ, FRUS-მა და მეორე მხრივ „კომპანიამ“ და ნგსს-მ, გააფორმეს „პწგბ“-ს შესაბამისი კორექტირებები. შემდგომ, ნგსს-მ FRUS-ს მიანიჭა ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზია. მიუხედავად ამისა, მემორანდუმისა და პწგბ-ს მიხედვით, FRC-სა და FRUS-ის მიერ მათი „გადახდის ვალდებულებების“ დაკმაყოფილებამდე, „კომპანია“ გააგრძელებს საქმიანობას შესაბამის „საკონტრაქტო ფართობზე“.

გადახდის ვადა რამდენჯერმე გახანგრძლივდა.

2024 წლის 7 თებერვალს, ნგსს-ს და „კომპანიას“ აცნობეს, რომ კაიმანის კუნძულების სასამართლოს დიდი პალატის 2024 წლის 16 იანვრის ბრძანების მიხედვით, ბატონი გრანტ ჰილი და ბატონი მაიკლ გრინი „Deloitte & Touche LLP, Cayman Islands“ -დან, 2024 წლის 16 იანვრიდან დაინიშნენ კომპანიის ერთობლივ ოფიციალურ ლიკვიდატორებად („FRC's JOLs“).

„კომპანიების შესახებ კანონი“-ს სექცია 110-ის და „კაიმანის კუნძულების კომპანიების ლიკვიდაციის წესების“ („Cayman Islands Companies Winding Up Rules“ (2023 კონსოლიდირებული)) ბრძანება 3, წესი 22-ის მიხედვით, FRC-ს დირექტორების ყველა ძალაუფლება შეწყდა და ამჟამად, კომპანიას FRC-ს ერთობლივი ოფიციალური ლიკვიდატორები აკონტროლებენ.

მემორანდუმისა და პწგბ-ს უკანასკნელი კორექტირებების მიხედვით, FRC (წარმოდგენილი FRC-ს ერთობლივი ოფიციალური ლიკვიდატორების მიერ), FRUS, კომპანია და ნგსს გადახდის ვალდებულების შესრულებისთვის დადგენილი ვადის 2024 წლის 30 აგვისტომდე გადაწევაზე შეთანხმდნენ. მიუხედავად ამისა, FRC-მ და FRUS-მა ვერ შეასრულეს გადახდის ვალდებულებები, რამაც გამოიწვია ურთიერთგაგების მემორანდუმის და პწგბ-ს ავტომატური შეწყვეტა, გარდა აღნიშნული შეწყვეტის შემდგომ მოქმედი დებულებებისა.

„ურთიერთგაგების მემორანდუმის (MoU)“ და „პწგბ“-ს მიხედვით, კომპანიას კვლავ აქვს უფლება მოითხოვოს FRC-ისა და FRUS-ისგან 15,399 ათასი ლარის ოდენობით გადახდის ვალდებულების დაფარვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ოდენობა არ არის ამოღებადი და არ უნდა იქნეს აღიარებული კომპანიის და ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამჟამად, კომპანია აგრძელებს XII ბლოკზე მუშაობას საქართველოს კანონმდებლობისა და ნგსს-ს შესაბამისი მითითებების მიხედვით.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები ახასიათებს, რაც ხშირად გაურკვეველი, ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსაზღვრულად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფისეული“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) ეკოლოგიური საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესშია და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. „კომპანია“ პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებით, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) კონტროლის ურთიერთობები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ მთლიანად ეკუთვნის სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. 2024 და 2023 წლებში მართვის უფლებებით სარგებლობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2025 წლის 29 მარტიდან მართვის უფლებები სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გადაეცა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო საქართველოს მთავრობა.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რაც შეტანილია დასაქმებულთა ხელფასებში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	3,378	3,613

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

"ჯგუფი" ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება ან ერთობლივად კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ ან იმყოფება ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა მიიღო ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) გათავისუფლების გამოყენების გადაწყვეტილება, რომელიც სამთავრობო უწყებებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შემცირებული სახით წარდგენის საშუალებას იძლევა.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ სხვა შემოსავლისა და ხარჯის, ასევე სამთავრობო უწყებებთან დაკავშირებული ნაშთების მთლიანი თანხა, ქვემოთ განსაზღვრულის გარდა, მნიშვნელოვანი არ არის.

"ჯგუფის" მნიშვნელოვანი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ. ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 5, 11, 15 და 19.

(i) შემოსავალი

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2024	2023	2024	2023
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოები:				
შემოსავალი გაზის მილსადენების იჯარიდან*	44,501	44,501	8,528	12,670
შემოსავალი გაზის გაყიდვიდან	25,861	20,944	5,308	5,395
შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებისა და მიწოდებიდან	272,094	227,029	73,327	60,169
	342,456	292,474	87,163	78,234

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

* მილსადენის იჯარის ნარჩენი ნაშთი წარმოადგენს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ (იხილეთ შენიშვნა 16) მიმართ არსებულ რესტრუქტურირებულ მოთხოვნას.

’000 ლარი

სგტკ-ის მოთხოვნების წმინდა მიმდინარე ღირებულება 2024 წლის 1 იანვრისთვის	8,261
სგტკ-ის მიმართ არსებული მოთხოვნის დაფარვა	(5,000)
2024 წლის განმავლობაში აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(12)
დისკონტის პოზიციის დახურვა (შენიშვნა 10)	891
სგტკ-ის მოთხოვნების წმინდა მიმდინარე ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	4,140

დაუფარავი ნაშთები, GGTC-სგან მისაღები რესტრუქტურირებული მოთხოვნების გარდა (რომლებიც უნდა დაიფაროს წინასწარ განსაზღვრული გადახდის გრაფიკის შესაბამისად), უნდა დაიფაროს ნაღდი ფულით საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ სამი თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

(ii) ხარჯები

’000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2024	2023	2024	2023
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოები:				
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა	12,388	7,137	1,957	4,335
	12,388	7,137	1,957	4,335

ნარჩენი ნაშთების ანგარიშსწორება ხდება ნაღდი ფორმით, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას სამი თვის განმავლობაში.

(iii) გადახდილი ავანსები

’000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2024	2023	2024	2023
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოები:				
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა	-	-	2,391	2,391

(iv) სესხები და კრედიტები

’000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2024	2023	2024	2023
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოები:				
საპროცენტო ხარჯი	20,894	25,738	141,431	240,537

27. შემდგომი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება საქართველოს ბანკთან, 20,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზის ლიმიტით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, კომპანიის მიერ არცერთი ტრანში არ ყოფილა გატანილი.

28. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

29. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული „ჯგუფის“ საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის.

შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(ii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს საწარმოს, თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება (მისი ჩართულობიდან საწარმოში). შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი ზარალი, მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილებზე მიუხედავად იმისა, იწვევს თუ არა ეს არამაკონტროლებელი წილის უარყოფით (დეფიციტურ) ნაშთს.

(iii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ნაშთები და გარიგებები, ასევე ჯგუფის შიდა გარიგებებიდან წარმომდგომი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება. მეკავშირე საწარმოსთან დადებული გარიგებებიდან მიღებული არარეალიზებული ამონაგები ელიმინირდება ინვესტიციის საპირწონედ, ინვესტირებულ საწარმოში ჯგუფის წილის მიხედვით. არარეალიზებული ზარალები ელიმინირდება იგივენაირად როგორც არარეალიზებული ამონაგები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს გაუფასურების მტკიცებულება.

(b) შემოსავალი

ინფორმაცია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5(c).

(i) მილსადენების იჯარა

საოპერაციო იჯარა:

„ჯგუფი“ იჯარით გასცემს გაზსადენებს და მათთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“. საიჯარო ხელშეკრულება არის არა-გაუქმებადი და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრამდე.

გაზსადენების იჯარებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ყოველთვიურად (გთხოვთ იხილეთ შენიშვნა 5).

(ii) ნავთობის ტრანსპორტირება

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მოიცავს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მიღებულ პირობით ქირას. შემოსავალი აღიარდება მილსადენებით გადაცემული ნავთობის მოცულობის მიხედვით, ხელშეკრულებით ბარელ ნავთობზე დადგენილი განაკვეთის საფუძველზე.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- დისკონტის პოზიციის დახურვა ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე;
- დისკონტის პოზიციის დახურვა რესტრუქტურირებულ მოთხოვნაზე;
- საპროცენტო ხარჯი;
- კლიენტების მიერ გადახდის დაგვიანებისთვის დარიცხული ჯარიმები;
- უცხოური ვალუტის ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ თარიღისთვის, როდესაც დადგენილია „ჯგუფის“ უფლებები გადახდების მიღებასთან დაკავშირებით.

‘ეფექტური საპროცენტო განაკვეთი’ არის განაკვეთი, რომელიც ადისკონტირებს მომავალ ფულად გადახდებს ან მისაღებ თანხებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება ისევ უბრუნდება ბრუტო საფუძველს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

ზოგადად, მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვის არის გადახდილი დივიდენდები. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა ანგარიშდება, როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ზასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღირიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(გ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება ეფუძნება "პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში" (FIFO) პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(h) ძებნა-ძიების და შეფასების აქტივები

ძებნა-ძიების და შეფასების საქმიანობა მოიცავს წიაღისეულის ძებნა-ძიებას, ტექნიკური მიზანშეწონილობის დადგენას და მოძიებული რესურსის კომერციული მიზანშეწონილობის შეფასებას.

ძებნა-ძიების და შეფასების საქმიანობა მოიცავს:

- ისტორიული საძიებო მონაცემების კვლევა და ანალიზი;
- საძიებო მონაცემების შეგროვება გეოფიზიკური კვლევების საშუალებით;
- საძიებო ბურღვა და სინჯის აღება;
- წიაღისეულის მოცულობისა და ხარისხის განსაზღვრა და შემოწმება; ტრანსპორტირებისა და ინფრასტრუქტურის მოთხოვნების კვლევა;
- საბაზრო და საფინანსო კვლევების ჩატარება.

ზემოაღნიშნულ ძებნა-ძიებისა და შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ძებნა-ძიებისა და შეფასების აქტივების სახით კაპიტალიზირდება.

ძებნა-ძიებისა და შეფასების აქტივები მოწმდება გაუფასურებაზე მაშინ, როდესაც ისინი რეკლასიფიცირებულია განვითარების მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად, ან როდესაც ფაქტები და გარემოებები გაუფასურებაზე მიანიშნებს. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით რა ოდენობითაც ძიებისა და შეფასების აქტივების საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება. ანაზღაურებადი ღირებულება არის ძიებისა და შეფასების აქტივების გამოყენებით ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნით, ტესტირებას დაქვემდებარებული ძებნა-ძიებისა და შეფასების აქტივები ჯგუფდება იმ საწარმოო ველების ფულადი სახსრების მწარმოებელ ერთეულებთან, რომლებიც იგივე გეოგრაფიულ რეგიონში მდებარეობს.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. აქციონერის მიერ შეტანილი ძირითადი საშუალებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიღების თარიღისთვის (2008 წლის 1 იანვარი), განისაზღვრა მოცემულ თარიღში მის სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით აშენებული აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალის და პირდაპირი შრომის ხარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, დემონტაჟის და მისი გატანის ხარჯებს, ასევე იმ სამუშაო მოედნის აღდგენას, რომელზედაც ისინი არის განთავსებული, ასევე კაპიტალიზირებულ სასესხო ხარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ამ მოწყობილობის ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულები (ძირითადი კომპონენტები). გაზის ტურბინებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები, რომელიც შესულია „ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეულის“ ჯგუფში, რომლის ჩატარება ივარაუდება ყოველ 5-8 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტად და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება, და მისი ღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალების ერთეულის თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს აქტივის გამოყენების შედეგად მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

– გაზის და ნავთობის მილსადენები	30-35 წელი;
– შენობა-ნაგებობები	50 წელი;
– ელექტროენერგიის წარმოების ერთეული	25 წელი;
– ნავთობის ჰაბურდილები	4-9 წელი;
– ძირითადი კაპიტალური დანახარჯები ელექტროენერგიის წარმოების ერთეულისთვის	5-8 წელი;
– ძირითადი საშუალებები	2-14 წელი;
– სხვა	1-6 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(j) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

„ჯგუფი“ სავაჭრო მოთხოვნებს და სასესხო ფასიან ქაღალდებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას „ჯგუფს“ აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე. თავდაპირველი აღიარებისას, „ჯგუფს“ შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამოებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითა თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან (მაგ. კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ჯგუფი აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში ინიცირებული ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, თუ სესხის ხელშეკრულების პირობები აძლევს ბანკებს ამის უფლებას და „ჯგუფს“ აქვს უფლება დაეთანხმოს გადახედილ საპროცენტო განაკვეთს ან დააბრუნოს სესხი ჯარიმების გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. “ჯგუფი” ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(k) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დამატებითი ხარჯები აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი გადასახადების გამოკლებით.

სააქციო კაპიტალის ზრდა

სააქციო კაპიტალის ზრდა ხორციელდება ახალი აქციების გამოშვების გზით. სააქციო კაპიტალის გაზრდისას ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით, როგორც სამართლიანი ღირებულების კორექტირების რეზერვი მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის ან დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(l) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

„ჯგუფი“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის რეზერვებს აღიარებს:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;

"ჯგუფი" აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურირაცია იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალები დაერიცხება ფულადი სახსრების ერთეულში შემავალ აქტივებს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და ამცირებს მათ საბალანსო ღირებულებებს.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მიწიშენებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული, ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, თუ ადგილი არ ექნებოდა გაუფასურების ზარალის აღიარებას.

(iii) ერთობლივი ოპერაციები

ერთობლივი ოპერაცია არის შეთანხმება, რომელშიც ჯგუფს აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობები სხვა მხარეებთან, კონკრეტული საქმიანობების განხორციელებისთვის. ერთობლივ ოპერაციაში, ჯგუფს აქვს უფლებები აქტივებზე და ვალდებულებები ვალდებულებებისთვის, რომლებიც აღნიშნულ შეთანხმებას უკავშირდება. აღნიშნული მოიცავს სიტუაციებს, რომლებშიც მხარეები იღებენ სარგებელს ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული ნაწარმის წილის საშუალებით და არა ვაჭრობის შედეგების წილის მიღების გზით.

ერთობლივ ოპერაციაში ჯგუფის წილთან დაკავშირებით, ჯგუფი აღიარებს მის: აქტივებისა და ვალდებულებების წილს; მისი ნაწარმის წილის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებს და მის წილს ერთობლივი ოპერაციის საშუალებით მიღებული ნაწარმის გაყიდვიდან მიღებულ ნებისმიერ ამონაგებში; და მის ხარჯების წილს. ყველა მსგავსი ოდენობა ფასდება შეთანხმების პირობების მიხედვით, რაც როგორც წესი, ერთობლივ ოპერაციაში ჯგუფის წილის პროპორციულია.

(n) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, „ჯგუფი“ განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, ჯგუფი ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფმა გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ „ჯგუფი“ ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

„ჯგუფი“ იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. „ჯგუფი“ შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში ბრუტო ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

„ჯგუფი“ საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „სხვა შემოსავლის“ კატეგორიაში.

30. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

ჯგუფი ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ ჯგუფის მოგების ან ზარალის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(b) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის კორექტირებები).



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	3
ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	7
ჯგუფის განვითარების გეგმები	15
საინვესტიციო საქმიანობა.....	19
ინფორმაცია ჯგუფის მიერ გაცემული დივიდენდების შესახებ	25
კორპორატიული მართვა. კორპორაციის მმართველობითი ორგანოები	26
კონტროლის დეპარტამენტი.....	30
გარემოს დაცვა.....	31
კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა	31

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (შემდგომში იწოდება: „კორპორაცია“), როგორც სახელმწიფოს 100%-იან საკუთრებაში მყოფი საწარმო დაფუძნდა 2006 წლის 6 აპრილს, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2006 წლის 21 მარტის ბრძანების საფუძველზე. დაარსების შემდეგ, „კორპორაცია“ გახდა სს „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის“ და სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ ერთადერთი აქციონერი, რომლებიც 2006 წლის ოქტომბერში და 2007 წლის მაისში, შესაბამისად, შეერწყნენ „კორპორაციას“. „კორპორაცია“ ასევე გახდა სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ აქციების 100%-ის მესაკუთრე, თუმცა 2007 წლის ნოემბერში გადასცა სახელმწიფოს მისი სრული წილი სს „თელეთის ნავთობის კომპანიაში“. ამის მიუხედავად, სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის ნავთობისა და გაზის ჭაბურღილები და დაკავშირებული ინფრასტრუქტურა) გადაეცა „კორპორაციას“.

„კორპორაციის“ შვილობილი კომპანიებია: შპს „გარდაბნის თბოსადგური“, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“, შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“, GOGC Trading S.A, შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“, შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“, შპს „საქართველოს გაზის ბირჟა“ („კორპორაცია“ და შვილობილი კომპანიები ერთობლივად შემდგომში იწოდება: „ჯგუფი“).

„ჯგუფი“, არსებული სახით, ეკონომიკური საქმიანობის სფეროების დივერსიფიკაციის შედეგად ჩამოყალიბდა, რაც „კორპორაციის“ განვითარების პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებაა. „კორპორაცია“ უშუალოდ და ასევე, „ჯგუფის“ სხვა წევრების მეშვეობით ენერგეტიკის სხვადასხვა სეგმენტში არის წარმოდგენილი.

„ჯგუფის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ქვეყნის გაზომიარაგების უსაფრთხოებისა და სოციალური გაზის სექტორის შეუფერხებელი მომარაგება
- მაგისტრალური გაზსადენების სისტემისა (შემდგომში იწოდება: „მგს“) და ბაქო-სუფსის (დასავლეთის საექსპორტო მიმართულების მილსადენი) ქართული სექციის ოპერატორი სუბიექტებისათვის იჯარით გადაცემა
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 მარტის დადგენილების საფუძველზე, მაგისტრალური გაზსადენების სისტემის რეაბილიტაციისა და განვითარების კონკრეტული პროექტების განხორციელება, 2026 წლის ჩათვლით პერიოდში
- თბოელექტროენერგიის გენერაციის სექტორის განვითარება და თბოელექტროგენერაციის ახალი ენერგოეფექტური ობიექტების მშენებლობა. ასევე, თბოელექტროგენერაციის, როგორც სოციალური გაზის სექტორის, შემადგენელი ნაწილის ხელშეწყობა
- ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების, მოპოვების სფეროში სახელმწიფოსა და კონტრაქტორებს/ინვესტორებს შორის გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების (შემდგომში წოდებული: „პწგბ“) ფარგლებში ნავთობის ეროვნული კომპანიის ფუნქციების შესრულება. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული სახელმწიფოს კუთვნილი ნავთობისა და გაზის წილის განკარგვა.

2019 წლის 27 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ახალი კანონი (შემდგომში წოდებული: „კანონი“), რომელსაც საფუძვლად დაედო ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულება და ასევე, ხელშეკრულებიდან გამომდინარე *acquis communautaire*, რომელიც ელექტროენერგეტიკისა და გაზის სფეროზე ვრცელდება. „კანონი“ ითვალისწინებს ღია და კონკურენტული ელექტროენერგეტიკული და გაზის

ბაზრების ჩამოყალიბებას. „კანონით“, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციითა (შემდგომში იწოდება: „ეზმკ“) და ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციით (შემდგომში იწოდება: „ზგზმკ“) განსაზღვრული მიმართულებებისა და პრინციპების შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება მყისიერი გავლენა საქართველოს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრასა და მის მონაწილეებზე („ჯგუფის“ წევრების ჩათვლით).

„კორპორაციის“ მენეჯმენტის შეფასებით, „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 და „ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 სექტემბრის №447 დადგენილებების მიღებას 2024 წელს არსებითი გავლენა „ჯგუფის“ ოპერაციებზე¹ არ მოუხდენია.

„კორპორაციის“ მენეჯმენტის ვარაუდით, „კანონის“, „ეზმკ“-ის და „ზგზმკ“-ის დებულებათა ეტაპობრივი დანერგვისა და ამოქმედების პროცესი „ჯგუფის“ ოპერაციებზე თანდათანობით აისახება 2027 წლიდან, სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ მიერ დღით ადრე, დღის, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ელექტროენერგეტიკული ბაზრების ოპერირების სრულყოფილი ამოქმედების მომენტიდან. „კორპორაციის“ მენეჯმენტი თვლის, რომ მომავალში საჯარო მომსახურების ვალდებულების განხორციელების მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება სოციალური გაზის სექტორზე „კორპორაციის“ ოპერაციებზე მნიშვნელოვან დადებით გავლენას იქონიებს, კერძოდ კი გააუმჯობესებს მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებს.

გაზის ოპერაციები

როგორც აღინიშნა, 2024 წელს „ზგზმკ“-ამ არ იმოქმედა „კორპორაციის“ გაზის ოპერაციებზე:

- ოპერაციები საბითუმო ვაჭრობის სეგმენტში მიმდინარეობდა;
- არსებული კონტრაქტების პირობების მიხედვით, „კორპორაციის“ გაზის გაყიდვების უდიდესი ნაწილი მიეწოდებოდა სოციალური სექტორის საჭიროებისათვის;
- კომერციულ სექტორში გაზი იყიდებოდა ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე;
- გაზის სავაჭრო პლატფორმის ამოქმედება მომავლისთვის არის გადადებული².

საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა

2021 წლის 25 მარტის №129 „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიხედვით, შეირჩა დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელი. აღნიშნული მოდელის მიხედვით „კორპორაცია“ ინარჩუნებს სრულ კონტროლს „მგს“-ზე (საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემაზე). „მგს“-ის მესაკუთრეა „კორპორაციის“ 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით ჩამოყალიბებული შვილობილი კომპანია - შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“. შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ კაპიტალში „მგს“-ის შეტანის შემდეგ, მან ჩაანაცვლა „კორპორაცია“ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-თან გაფორმებულ „მგს“-ის იჯარის ხელშეკრულებაში.

¹ ინფორმაცია შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორის“ ჩამოყალიბებისა და საქმიანობის თაობაზე იხილეთ ქვემოთ.

² აღსანიშნავია, რომ „ზგზმკ“-ს მიხედვით, ორგანიზებულ საბითუმო ბაზრის ამოქმედების შემდეგ პერიოდში „კორპორაცია“ ბაზრის სხვა მონაწილეებთან ერთად ვალდებული იქნება ორგანიზებულ ბაზარზე სარეალიზაციოდ გაიტანოს გასაყიდი ბუნებრივი გაზის მოცულობის 10%. ორგანიზებულ ბაზარზე ბუნებრივი გაზით საბაზრო ფასად ვაჭრობა მომგებიანი იქნება „კორპორაციისთვის“.

„ჯგუფის“ ოპერაციებზე (ჯგუფის დონეზე), განცალკევებას არ აქვს ეფექტი იმის გათვალისწინებით, რომ „კორპორაცია“ არის შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ კაპიტალის 100%-ის მესაკუთრე.

ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ოპერაციები

„კორპორაციის“ მენეჯმენტის შეფასებით, „კანონი“ და „ებმკ“ არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას შპს „გარდაბნის თბოსადგურისა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს ოპერაციებსა და მათ ფინანსურ შედეგებზე. შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ოპერაციები რეგულირდება იმპლემენტაციის ხელშეკრულებით (შემდგომში: „გარდაბანი 1-ის განხორციელების ხელშეკრულება“), რომელიც გაფორმებულია „კორპორაციის“, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“, საქართველოს მთავრობასა და სს „ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის. „გარდაბანი 1-ის განხორციელების ხელშეკრულების“ და კანონის გათვალისწინებით მიღებული საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების (2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილება „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“) საფუძველზე, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ 2015 წლიდან გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ფორმატში ფუნქციონირებს. შპს „გარდაბნის თბოსადგურისა“ და სს „ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ გაფორმებული გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვის ხელშეკრულება.


„კანონისა“ და „ებმკ“-ის შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფა, განხილულია როგორც საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება, რომელსაც განსაზღვრავს და კონკრეტულ სუბიექტს აკისრებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიასა და ენერგეტიკის ეროვნულ საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ.

„ელექტროენერგიის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №625 დადგენილებით (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), რომელმაც ჩაანაცვლა საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული დადგენილება, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 2035 წლის 28 მარტამდე პერიოდში დაეკისრა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფას გულისხმობს. მითითებული დადგენილება, შეესაბამება „გარდაბანი 1-ის განხორციელების ხელშეკრულების“ ნორმებს.

შესაბამისად, „კანონის“ და „ებმკ“-ს ამოქმედებამ არ იმოქმედა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ოპერაციებზე. ამასთან, „კორპორაციის“ მენეჯმენტი თვლის, რომ „კანონისა“ და „ებმკ“-ს შესასრულებლად გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტები, მომავალშიც არ მოახდენენ არსებით გავლენას შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ საქმიანობასა და საოპერაციო შედეგებზე.

„კორპორაციის“ მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საჯარო მომსახურების განხორციელების ვალდებულება დაეკისრება 2027 წლის 1 ივლისიდან, რაც დღით ადრე, დღის, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ელექტროენერგეტიკული ბაზრების ოპერირების დაწყებას დაუკავშირდება და აღნიშნული თბოელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებული განხორციელების ხელშეკრულების კორექტირებას მოითხოვს (ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტში აღნიშნული ვალდებულების დაკისრება არ განხორციელებულა). ამასთან, „კორპორაციის“ მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის მიერ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოდელით ფუნქციონირება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს მის საქმიანობასა და საოპერაციო შედეგებზე.

„ჯგუფის“ სტრუქტურა, ანგარიშის მომზადების თარიღისთვის



ჯგუფის ადგილი ენერგორესურსების ბაზარზე

„ჯგუფი“, როგორც სოციალური გაზის სექტორისათვის ბუნებრივი გაზის ძირითადი მიმწოდებელი, ბუნებრივი გაზის ბაზრის კომერციული სეგმენტის მსხვილი მიმწოდებელი, „მგს“-ის და თბოელექტროგენერაციის ახალი ენერგოეფექტური ობიექტების მესაკუთრე, უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გამყარებისა და შენარჩუნების საქმეში. „ჯგუფი“ უზრუნველყოფს ენერგეტიკული ბაზრების სტაბილურობას, ბუნებრივი გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის და თბოელექტროგენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების გზით, ხოლო ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში არის სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი.

„ჯგუფი“, ქვეყნის სტრატეგიული სატრანზიტო მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ტრანსსასაზღვრო სისტემების შეუფერხებელ ფუნქციონირებას, მხარს უჭერს ახალი სატრანზიტო მარშრუტების განვითარებას კასპიისა და ცენტრალური აზიის პოტენციალის სრული ათვისების მიზნით.

„კორპორაცია“ აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებსა და ბიზნეს ურთიერთობებში. ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. მისი სტრატეგიული და ძირითადი ბიზნეს პარტნიორები არიან: State Oil Company of Azerbaijan Republic, Azerbaijan Gas Supply Company Limited, South Caucasus Pipeline Option Gas Company Ltd, BP, BOTAS, ROMGAZ, MVM, PERN, UkrTransnafta, ArmGazprom, GAZPROM, USAID, KfW, ADB, EBRD და სხვა.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

„ჯგუფი“ ოპერირებს შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- **გაზის მიწოდება.** „კორპორაცია“, საქართველოს მთავრობასა და SOCAR-ს შორის სოციალური გაზის სექტორის გაზმომარაგების თაობაზე გაფორმებული მემორანდუმის საფუძველსა და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უზრუნველყოფს სოციალური გაზის სექტორის შეუფერხებელ გაზმომარაგებას. ასევე, ბუნებრივ გაზზე დაწესებული საბოლოო სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნებისათვის აყალიბებს აუცილებელ წინაპირობებს, რისთვისაც მობილიზებული აქვს მის განკარგულებაში არსებული ბუნებრივი გაზის მოცულობების უდიდესი ნაწილი.
- **ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.** „კორპორაციის“ შვილობილი კომპანიები - შპს „გარდაბნის თბოსადგური“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ ახორციელებენ ქ. გარდაბანში არსებული ახალი ენერგოეფექტური თბოელექტროსადგურების ოპერირებას, გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფას, ელექტროენერგიის წარმოებასა და მის საბითუმო რეალიზაციას, მათ შორის ისეთ კომპანიებზე როგორიცაა შპს „თელმიკო“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ და სხვა.
- **ნავთობსადენების და გაზსადენების იჯარა.** მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მოიჯარე არის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომელიც ახორციელებს გაზის ტრანსპორტირებას/გადაცემას, რისთვისაც „ჯგუფს“ შესაბამისი იჯარის საფასურს უხდის.
„კორპორაცია“ იღებს შემოსავალს ბაქო-სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენის საერთაშორისო კონსორციუმისაგან, რომელსაც აღნიშნული მილსადენი გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში (ფინანსური ლიზინგით). რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამდე პერიოდში აღნიშნული მილსადენით ყოველწლიურად 31 მლნ. ბარელამდე ნავთობის ტრანზიტი ხორციელდებოდა. 2024 წლის მონაცემებით, გატარებული ნავთობის მოცულობა 659 ათასამდე შემცირდა.
- **ნავთობის ეროვნული კომპანია.** „ჯგუფის“ საქმიანობის სხვა მიმართულებებია - „პწეზ“-ში ნავთობის ეროვნული კომპანიის ფუნქციების შესრულება და ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს კუთვნილი წილი ნავთობისა და გაზის განკარგვა/რეალიზაცია.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

„ჯგუფის“ 2024 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი ცვლილების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები*	2024 წელი	2023 წელი	ცვლილება %
ამონაგები	1,648,69	1,404,908	+17%
გაზის და ნავთობის ხარჯი	(1,313,22	(1,201,992	+9%
ცვეთა და ამორტიზაცია	(64,422)	(63,641)	+1%
შრომის ანაზღაურება	(46,182)	(40,293)	+15%
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(13,092)	(14,445)	-9%
გაუფასურების ზარალი/აღდგენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	(6,494)	699	*
სხვა საოპერაციო ხარჯები	(22,143)	(18,170)	+22%
სხვა შემოსავალი	8,206	11,757	-30%
საოპერაციო ზარალი/მოგება	191,344	78,823	+143%
ფინანსური შემოსავლები	41,744	34,774	+20%
ფინანსური ხარჯები	(49,680)	(63,537)	-22%
წმინდა ფინანსური შემოსავალი	(7,936)	(28,763)	-72%
მოგება წლის განმავლობაში	183,408	50,060	*
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება	183,408	50,060	*

*ცვლილება, რომელიც 1.5-ზე მეტია

** ყველა თანხა მოცემულია ათასებში

„ჯგუფის“ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გაზის საბითუმო რეალიზაცია, რომელიც შეადგენს მთლიანი შემოსავლის 71%-ს (2023 წელს - 72%).

2024 წელს ამონაგებმა შეადგინა 1,648,694 ათასი ლარი, რაც 243,786 ათასი ლარით მეტია 2023 წელთან შედარებით. ამონაგების ზრდა უმეტესწილად განაპირობა თბოსადგურებისათვის მისაწოდებელი გაზის ფასის მატებამ.

2023 წელთან შედარებით შესყიდული გაზის ჯამური ღირებულების 9%-ით ზრდა ძირითადად თბოელექტროსადგურებისათვის განკუთვნილი ბუნებრივი გაზის ფასის და გაზრდილი მოხმარების დასაკმაყოფილებლად „კორპორაციის“ მიერ შესყიდული ბუნებრივი გაზის მოცულობის ზრდას უკავშირდება.

2024 წელს წინა წელთან შედარებით „ჯგუფის“ ცვეთის ხარჯის 1%-ით ზრდა განპირობებულია „ჯგუფში“ შემავალი კომპანიების ძირითადი საშუალებების საბალანსო ნაშთის კლების გამო, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ყოველწლიური ცვეთის დარიცხვით.

2024 წელს წინა წელთან შედარებით „ჯგუფის“ საგადასახადო ხარჯი შემცირდა 1,353 ათასი ლარით, აღნიშნული ზრდა გამოწვეულია შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“-ს ქონების გადასახადის შემცირებით.

2024 წელს „ჯგუფის“ გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. აღნიშნული გამოწვეულია თბოელექტროსადგურების დებიტორული დავალიანების დაფარვის გაუარესებით.

სხვა საოპერაციო ხარჯების 22%-ით ზრდა ძირითადად დაკავშირებულია რეგულირების საფასურის ზრდასთან (1,403 ათასი ლარი ზრდა). სხვა საოპერაციო ხარჯები აგრეთვე მოიცავს აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული მომსახურების საფასურს. 2024 წლის განმავლობაში აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული პროფესიული მომსახურების სრული

ღირებულება მოიცავდა ჯგუფის აუდიტორული მომსახურების საფასურს 696 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წელს „ჯგუფის“ სხვა შემოსავლის 30%-იანი კლების ძირითადი მიზეზი არის, 2023 წელს მომხდარი ჩამოწერის გაუქმება, რომელმაც გამოწვია 2,065 ათასი ლარის შემოსავლის აღიარება. მსგავს შემთხვევას 2024 წელს ადგილი არ ქონია, შესაბამისად წინა წელთან შედარებით 2024 წელს ნაკლები სხვა შემოსავლის მიღება განხორციელდა.

2024 წლის შედეგების მიხედვით, „ჯგუფს“ აქვს 7,936 ათასი ლარის ოდენობის წმინდა ფინანსური ზარალი, მაშინ როდესაც 2023 წლის მიხედვით ეს მაჩვენებელი 28,763 ათასი ლარის წმინდა ფინანსურ ზარალს შეადგენდა. წმინდა ფინანსური ზარალის კლება 20,827 ათასი ლარით რამოდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. კერძოდ, 2023 წელთან განსხვავებით, „ჯგუფმა“ მიიღო 7,060 ათასი ლარის ოდენობის მოგება გადაფასებიდან, მაშინ როდესაც წინა წელს იგივე მაჩვენებელი 5,936 ათასი ლარის ზარალს შეადგენდა. თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა წმინდა ფინანსურ ზარჯებზე იქონია სესხებზე დარიცხული პროცენტის კლებამ. აღნიშნული გამოწვეულია სესხების ძირის თანხის კლებით.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ 2024 წელს „ჯგუფის“ წმინდა მოგება 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 133,348 მლნ ლარით. მიღწეული შედეგი ძირითადად გამოწვეულია გაზის ოპერაციებიდან მიღებული 85.4 მლნ ლარის ოდენობის წმინდა მოგებით, მაშინ როდესაც 2023 წლის ამავე სეგმენტიდან 31.5 მლნ ლარის ოდენობის ზარალი იქნა მიღებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია სესხებზე დარიცხული პროცენტის კლება 7.9 მლნ ლარის ოდენობით.

„ჯგუფის“ საოპერაციო მოგების ზრდა არის იმის მაჩვენებელი, რომ „ჯგუფს“ აქვს შესაძლებლობა გადალახოს მის წინაშე დამდგარი გამოწვევები, კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად მიაღწიოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ფინანსური სტაბილურობის გამყარებას. 2024 წლის 1 იანვრიდან ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებისათვის (შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის გარდა) განკუთვნილ ბუნებრივ გაზზე დაწესებული ფასების (მათ შორის, „კორპორაციის“ სარეალიზაციო ფასის) ზრდის გათვალისწინებით, პროგნოზირებული საოპერაციო შედეგების დადებითი დინამიკა მიღწეული იქნა. „კორპორაციის“ მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ „ჯგუფს“ ექნება საკმარისი რესურსები ახლო მომავალში ფუნქციონირების შეუფერხებლად გაგრძელებისათვის.

„ჯგუფი“ მუდმივად მუშაობს ნავთობისა და გაზის და ელექტროენერგიის წარმოების/მიწოდების/ტრანსპორტირების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ეფექტურ მართვაზე და საკუთარი სახსრებით ახორციელებს მოცულობით ინვესტიციებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ენერგეტიკულ პროექტებში და მათ შორის, ახალი ობიექტების მშენებლობაში და ძველი ამორტიზირებული ობიექტების განახლებასა ან ახლით ჩანაცვლებაში.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მაჩვენებლები	2024 წელი	2023 წელი	ცვლილება %
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,115,577	1,124,841	-1%
წინასწარ გადახდილი თანხები	12,630	17,708	-29%
არამატერიალური აქტივები	46	42	+10%
მოთხოვნები ფინანსური	97,738	91,757	+7%
გაცემული სესხები	-	195	*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3,751	*
ძებნა-ძიებისა და შეფასების	12,286	11,916	+3%
ინვესტიციები მოკავშირე	4,219	1,541	*
გრძელვადიანი აქტივები	1,242,496	1,251,751	-1%
გაცემული სესხები			
მარაგები	34,322	25,696	+34%
წინასწარ გადახდილი თანხები	160,190	140,298	+14%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	401,319	244,930	+64%
ფული და ფულის ექვივალენტები	348,233	376,975	-8%
მიმდინარე აქტივები	944,064	787,912	+20%
სულ აქტივები	2,186,560	2,039,663	+7%
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	697,895	695,055	+0.4%
დამატებითი გადახდილი	75,230	75,230	-
მფლობელების არაფულადი	(282,181)	(282,181)	-
გაუნაწილებელი მოგება	563,136	541,813	+4%
სხვა კაპიტალის რეზერვი	-	55,195	*
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	183,408	50,060	*
არამაკონტროლებელი წილი	81,900	-	*
სულ კაპიტალი	1,319,388	1,135,172	+16%
ვალდებულებები			
სესხები და ვალდებულებები	-	126,831	*
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	126,831	*
სესხები და ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	571,681	613,133	-7%
მიმდინარე საგადასახადო	277,971	157,037	+77%
მიმდინარე ვალდებულებები	17,520	7,490	+134%
სულ ვალდებულებები	867,172	777,660	+12%
სულ ვალდებულებები	867,172	904, 491	-4%
სულ კაპიტალი და	2,186,560	2,039,663	+7%

* ცვლილება, რომელიც 1.5-ზე მეტია, ** ყველა თანხა მოცემულია ათასეზში

2024 წლის განმავლობაში „ჯგუფის“ საქმიანობის შედეგად მიღწეული ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა უპირატესად შემდეგ ფაქტორებს უკავშირდება:

„ჯგუფის“ ძირითადი საშუალებების ბალანსის კლება 9,264 ათასი ლარით ძირითადად გამოწვეულია ცვეთის ხარჯისა და ძირითადი საშუალებების მშენებლობის კუმულატიური ეფექტით.

2024 წელს მომწოდებლებისთვის წინასწარი გადახდილი მიმდინარე ავანსების ზრდა 19,892 ათასი ლარით გამოწვეულია მისაღები გაზის მოცულობების ზრდით.

„ჯგუფის“ მარაგების 34%-ით ზრდა უმეტესწილად გამოწვეულია შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის მარაგების ზრდით.

სავაჭრო მოთხოვნების ზრდა 156,389 ათასი ლარის ოდენობით ძირითადად დაკავშირებულია ორ კომპანიასთან, შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტთან“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზთან“.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის „ჯგუფის“ მიმდინარე სესხებს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან აღებული სესხის მიმდინარე ნაწილს და EBRD-ისგან მიღებული სესხის მიმდინარე ნაწილს. 2024 წელს მიმდინარე სესხები მნიშვნელოვნად შემცირდა 41,452 ათასი ლარით, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან აღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი სრულად იქნა გადახდილი, სესხის ძირის დარჩენილი ნაწილი და დარიცხული პროცენტის გადახდა დაგეგმილია 2025 წლის დეკემბერში, შესაბამისად სესხის ჯამური ოდენობა კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე დავალიანება. 2024 წლის შედეგებით „ჯგუფი“ ასრულებს EBRD-ს წინაშე აღებულ ფინანსურ კოვენანტებს, თუმცა არღვევს ზოგიერთ არაფინანსურ კოვენანტს შესაბამისად აღნიშნული ბანკისაგან მიღებული სესხი სრულად კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე სესხი.

„ჯგუფის“ სავაჭრო ვალდებულებები მნიშვნელოვნად 120,934 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც უმეტესწილად დაკავშირებულია გაზის მომწოდებლების მიმართ არსებული დავალიანების ნაშთის ზრდასთან.

2024 და 2023 წლებში ჯგუფის EBITDA ათას ლარებში წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

2024 წელი	2023 წელი	ცვლილება
262,260	141,765	+85%

ჯგუფის შემოსავლები/ხარჯები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით

შემოსავალი გაზის რეალიზაციიდან

2024 წლის განმავლობაში 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემოსავალი გაზის რეალიზაციიდან გაიზარდა 152,294 ათასი ლარით ბუნებრივ გაზზე გაზრდილი მოთხოვნისა და თბოსადგურებზე გასაყიდი გაზის ფასის ზრდის გამო.

	2024 წელი	2023 წელი	ცვლილება
გაზის მოცულობა, მლრდ მ³	3,139	2,884	+9%
გაზის რეალიზაცია, მლრდ ლარი	1,170	1,018	+15%

**ელექტროენერგიის წარმოება/მიწოდება და გარანტირებული
სიმძლავრის საფასური**


შპს „გარდაბნის თბოსადგური“-ისა და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის კომერციული საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს გამომუშავებული ელექტროენერგიით, ხოლო შპს „გარდაბნის თბოსადგური“-ს შემთხვევაში, ასევე გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საჯარო მომსახურების გაწევა და აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაბამისი შემოსავლის მიღება. გარდა ამისა, სადგური რემონტსა და/ან მარქაფში ყოფნის პერიოდში თვითონ არის ელექტროენერგიის მომხმარებელი, რომელსაც ყიდულობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის კომერციული ოპერატორისგან. საანგარიშო პერიოდში წარმოებული და რეალიზებული ელ. ენერგიის მონაცემები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 1

საანგარიშო პერიოდი	გენერაცია მლნ. კვტ. სთ.	რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ლარი	გარანტირებული სიმძლავრის საფასური ლარი
იანვარი	315	42,242,789	10,753,606
თებერვალი	222	29,264,674	10,382,792
მარტი	311	41,067,264	11,495,234
აპრილი	59	7,830,504	11,124,420
მაისი	-	-	11,495,234
ივნისი	-	74,788	11,124,420
აგვისტო	185	18,953,967	3,337,326
სექტემბერი	313	42,447,722	11,124,420
ოქტომბერი	249	34,451,889	11,495,234
ნოემბერი	271	38,283,423	11,124,420
დეკემბერი	316	44,302,384	1,483,256
სულ	2,241	298,919,406	107,536,060


*2024 წლის მაისში და ივლისში შვილობილი თბოსადგურები არ აწარმოებდნენ ელ. ენერგიას

ელექტროენერგიის რეალიზაცია
შემსყიდველების მიხედვით მლნ ლარი



■ სს ეპ ჯორჯია
■ შპს თელმიკო
■ სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი
■ სხვადასხვა

ელექტროენერგიის რეალიზაცია
შემსყიდველების მიხედვით ათასი კვტ. სთ



■ სს ეპ ჯორჯია ■ შპს თელმიკო ■ სს ესკო ■ სხვა

შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება გაყიდული ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საჯარო მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლებისგან. ელექტროენერგიის რეალიზაციის თვითღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ღირებულება.


2024 წელს ელექტროენერგიის წარმოებისთვის შპს „გარდაბნის თბოსადგურმა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-მა ჯამში მოიხმარა 448,366 ათასი კუბური მეტრი გაზი, ელექტროენერგიის წარმოების ჯამური ღირებულება შეადგენს 223,843 ათას ლარს.

შპს „გარდაბნის თბოსადგური“-სა და „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის მიერ თვეების მიხედვით გამოძეული ელექტროენერგიის და გახარჯული გაზის მოცულობები მოცემულია მე-2 გრაფიკში.

გრაფიკი 2



გრაფიკი 3



ნავთობის მიღება/რეალიზაცია პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების (პწგბ) ფარგლებში

„ჯგუფი“ აუქციონის წესით ახდენს მიღებული ნედლი ნავთობის რეალიზაციას, პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების ფარგლებში. 2024 წლის განმავლობაში შედგა რამდენიმე აუქციონი, რომლის ფარგლებში კორპორაციამ 131,157 ბარელი ნედლი ნავთობის რეალიზაცია მოახდინა. რეალიზაციის ჯამურმა თანხამ შეადგინა 9,925 ათასი აშშ დოლარი (დღგ-ს გარეშე).

პწგბ-ს ფარგლებში მიღებული ნავთობის რეალიზაცია	2024 წელი	2023 წელი	ცვლილება %
ნავთობის მოცულობა ათასი (ბარელი)	131,157	88,866	+48%
ბარელის საშუალო ფასი \$ (დღგ-ს გარეშე)	75.67	77.8	-3%
ნავთობის რეალიზაცია ათასი \$ (დღგ-ს გარეშე)	9,925	7,522	+31%
რეალიზაციის მომენტში არსებული საშუალო გაცვლითი კურსი	2.7208	2.6279	+2%
ნავთობის რეალიზაცია, ათასი ლარი	26,728	19,767	+35%

ნავთობის ტრანზიტი

ნავთობის ტრანზიტი ხორციელდება WREP (Western Route Export Pipeline) ე.წ. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მეშვეობით. აღნიშნულ ოპერაციებს ახორციელებს BP-ს მფლობელობაში არსებული საერთაშორისო კომპანია - Azerbaijan International Operating Company. 2024 წლის განმავლობაში აღნიშნულ ნავთობსადენში გატარებულ იქნა 659 ათასი ბარელი ნედლი ნავთობი, ხოლო ტრანზიტიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 568 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში არსებული საომარი ვითარების გამო, 2022 წლის მაისიდან, თითქმის შეწყდა ნავთობის ტრანსპორტირება ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მეშვეობით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები მილსადენით ნავთობის ტრანზიტის განახლების და მილსადენის შემდგომი ფუნქციონირების შესახებ.

ჯგუფის განვითარების გეგმები

„ჯგუფის“ განვითარების გეგმა შემდეგ ძირითად მიმართულებებზე არის ორიენტირებული:

1. ბუნებრივი გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და მოწოდების ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა

დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე, მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია „კორპორაციისათვის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა კომპანიას მისცა შესაძლებლობა ჩამოეყალიბებინა ბუნებრივი გაზის მოწოდების ისეთი სტრუქტურა და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწევს ბუნებრივი გაზის ბაზრის მდგრადობის ამაღლებას და შესაძლებელი გახადეს სოციალური გაზის სექტორის საიმედო გაზმომარაგება და წლების მანძილზე სოციალური სექტორის სატარიფო პოლიტიკის სტაბილურობის შენარჩუნება.

საქართველოში ბუნებრივი გაზის მოწოდების წყაროებისა და მარშრუტების შეზღუდული რაოდენობა ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. ამის მიუხედავად, „ჯგუფი“ განაგრძობს მუშაობას მოწოდების დივერსიფიკაციის დამატებითი შესაძლებლობების მოძიებისა და რეალიზების მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც „ჯგუფის“ საბაზრო პოზიციის შემდგომ გაძლიერებას, ასევე ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გარანტიების გაძლიერებას.

2. ეკონომიკური საქმიანობის სფეროების დივერსიფიკაცია და ენერგოუსაფრთხოებისათვის სტრატეგიული პროექტების განვითარება

ეკონომიკური საქმიანობის სფეროების დივერსიფიკაციის უშუალო შედეგს წარმოადგენს „ჯგუფის“ მიერ გარდაბანი 1 და გარდაბანი 2 კომბინირებული ციკლის ენერგოეფექტური თბოელექტროსადგურების პროექტების წარმატებული განხორციელება, რამაც განაპირობა „ჯგუფის“ შემოსავლების ზრდა და ფინანსური სტაბილურობა.

დღევანდელი მდგომარეობით, „ჯგუფი“ მუშაობს გარდაბანი 3 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის, მიწისქვეშა გაზსაცავის და რიგი სხვა სტრატეგიული პროექტის განხორციელებაზე. მიწისქვეშა გაზსაცავის პერსპექტიულობასა და შესაძლო ალტერნატივებზე მიმდინარეობს კონსულტაციები.

2023 წლიდან „ჯგუფი“ აქტიურადაა ჩართული მწვანე ენერგეტიკის განვითარების საკითხში

„ჯგუფი“, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან ერთად წარმოადგენდა საქართველოში პირველი ქარის ელექტროსადგურის პროექტის განმახორციელებელ პარტნიორს, დღესაც განიხილავს შესაძლებლობებს განახლებადი ენერგიის სფეროში ახალი პროექტების განხორციელებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 ოქტომბრის №1936, №1937, №1938 და №1939 განკარგულებების საფუძველზე, ამ უკანასკნელსა და „კორპორაციას“ შორის 2023 წლის 9 ნოემბერს გაფორმდა ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელება-დობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულებები შემდეგ პროექტებთან დაკავშირებით:

- „ფარავანი 1 ჰესი“ (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, მდ. ფარავანი, სავარაუდო წლიური გამომუშავება: 17.777 მლნ კვტ/სთ, დადგმული სიმძლავრე: 3 მგვტ);
- „ფარავანი 2 ჰესი“ (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, მდ. ფარავანი, სავარაუდო წლიური გამომუშავება: 25.252 მლნ კვტ/სთ, დადგმული სიმძლავრე: 4 მგვტ);
- „სართიჭალის მზის ელექტროსადგური“ (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალა, სავარაუდო წლიური გამომუშავება: 9.8 მლნ კვტ/სთ, დადგმული სიმძლავრე: 5.49 მგვტ);

- „რიონის ქარის ელექტროსადგური“ (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი; სავარაუდო წლიური გამომუშავება: 94.364 მლნ კვტ/სთ, დადგმული სიმძლავრე: 25.2 მგვტ).

მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული პროექტების კაპიტალური დანახარჯების უდიდესი ნაწილის (მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ეტაპების) დაფინანსება მოიაზრება გერმანიის განვითარების ბანკიდან (KfW) მისაღები თანხებით, რომელიც თავის თავში აგრეთვე მოიცავს დაუბრუნებადი ფინანსური სახსრების კომპონენტს საქართველოში მწვანე წყალბადის პირველი საპილოტე პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად. კერძოდ, საქართველოს მთავრობასა და KfW-ს შორის 2021 წლის 5 ნოემბერს ხელმოწერილი „საქართველოში მწვანე წყალბადის მხარდაჭერის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის (DOI) დოკუმენტის ფარგლებში იდენტიფიცირებული მიზნების გათვალისწინებით, 2023 წლის 19 ივნისს „კორპორაციასა“ და KfW-ს შორის გაფორმდა დაუბრუნებადი ფინანსური სახსრების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, ამ უკანასკნელმა „კორპორაციას“ უკვე გამოუყო 1.3 მილიონი ევროს ოდენობის ტრანში, ხოლო მეორე ეტაპზე აგრეთვე მოიაზრება დამატებითი ტრანშის გამოყოფა უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებისთვის. გარდა ამისა, „კორპორაცია“ KfW-სთან პარალელურად აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა პროექტის ფარგლებში რეზერვირებული იაფი საკრედიტო რესურსის მიზნობრიობის რეპროგრამირებისა და განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარებისთვის მისი გამოყენების თაობაზე.

ზემოთ ხსენებული დაუბრუნებადი ფინანსური სახსრების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში უკვე გამოყოფილი 1.3 მილიონი ევროს ღირებულების პირველადი ტრანში მიმართულია არა მხოლოდ მწვანე წყალბადის პროექტის განვითარებისთვის საჭირო კვლევების, არამედ წყალბადის წარმოებისთვის საჭირო ელექტროენერგიის გენერაციის წყარო(ებ)ის შერჩევისა და მათი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის შესწავლის სამუშაოთა დაფინანსებისთვის. იგი ასევე მოიცავს განახლებადი ენერგიის ისეთი პროექტების ტექნიკურ მხარდაჭერასაც, რომელიც უშუალოდ არ არის განკუთვნილი მწვანე წყალბადის წარმოებისთვის.

ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, დონორი ორგანიზაციის მხრიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მწვანე წყალბადის პროექტის ფარგლებში დაუბრუნებადი ფინანსური სახსრების პირველი ტრანშით სრულად დაფინანსდეს „სართიჭალის მზის ელექტროსადგურის“ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მომსახურების, ხოლო „რიონის ქარის ელექტროსადგურის“ პროექტის ფარგლებში - ქარის გამზომი ანძის შედენის, საპროექტო ტერიტორიაზე მისი ინსტალაციისა და ქარის მონაცემების გაზომვის, ასევე ღამურებსა და ფრინველებზე დაკვირვების მონაცემების შეგროვება-ანალიზის მომსახურების შესყიდვა. მეორეს მხრივ, განახლებადი ენერგიის სხვა პროექტების დაფინანსება განიხილება რეტროსპექტული მოდელით, რა დროსაც ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის (ე.წ. Feasibility) ანგარიშების მომზადებისა და სხვა კვლევითი სამუშაოების შესყიდვისთვის საჭირო ხარჯების გაწევას უზრუნველყოფს „კორპორაცია“.

პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური მომსახურების შესყიდვის პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ფარავანი 1 და ფარავანი 2 ჰიდროელექტროსადგურების შემთხვევაში სატენდერო პროცედურა დასრულებულია. 2024 წლის 31 ივლისს ხელშეკრულება გაფორმდა უმცირესი ფასის შემომთავაზებელ იტალიურ კომპანია Idrostudi SRL-თან. ამასთან, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს სართიჭალის მზის ელ. სადგურის, ქუთაისის ქარის ელ. სადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის და ქარის გამზომი ანძის მომსახურებების შესყიდვის პროცედურები.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან კოორდინაციით ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების შესყიდვა დაკავშირებულია გარკვეულ ვადებსა და თავისუბურებებთან, „კორპორაციამ“ საკუთარი შესაძლებლობებით უზრუნველყო საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განახლებადი ენერგიის პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევებთან დაკავშირებით მოთხოვნილი ანგარიშების გარკვეული ნაწილის დროულად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენა. კერძოდ:

- „ფარავანი 1 ჰესის“ და „ფარავანი 2 ჰესის“ შემთხვევაში, უკვე წარდგენილია ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებული განხორციელებადობის კვლევის პირველი ანგარიში, ხოლო მეორე ანგარიშის წარმოდგენას „კორპორაცია“ აგრეთვე უზრუნველყოფს იმავე დანართით გათვალისწინებულ ვადებში;
- „სართიჭალის მზის ელექტროსადგურის“ შემთხვევაში უკვე წარდგენილია ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებული განხორციელებადობის კვლევის ორი ანგარიში;
- „რიონის ქარის ელექტროსადგურის“ შემთხვევაში უკვე წარდგენილია ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებული განხორციელებადობის კვლევის პირველი ანგარიში, ხოლო მეორე ანგარიშის წარდგენას „კორპორაცია“ აგრეთვე უზრუნველყოფს იმავე დანართით გათვალისწინებულ ვადებში.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 დეკემბრის №1890 განკარგულების საფუძველზე, ამ უკანასკნელსა და „კორპორაციას“ შორის 2025 წლის 20 იანვარს გაფორმდა ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულებები შემდეგ პროექტებთან დაკავშირებით „ზედა ბარისახო ჰესი“ (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, მდ. ხევსურეთს არაგვი, სავარაუდო წლიური გამომუშავება: 11.241 მლნ კვტ/სთ, დადგმული სიმძლავრე: 1,98 მგვტ).

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მომსახურების შესყიდვის პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სატენდერო პროცედურა დასრულებულია. 2025 წლის 30 აპრილს ხელშეკრულება გაფორმდა უმცირესი ფასის შემომთავაზებელ იტალიურ კომპანია Idrostudi SRL-თან.

3. უცხოური პარტნიორების და ინვესტიციების მოზიდვა

„ჯგუფი“ ორიენტირებულია სტრატეგიულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში კერძო პარტნიორების ჩართვასა და ინვესტიციების (მათ შორის, უცხოელი ინვესტორებისა და უცხოური კაპიტალის) მოზიდვაზე.

2012 წელს „ჯგუფმა“ წარმატებით განათავსა ევროობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე და 2016 წელს მოახდინა მათი რეფინანსირება. „ჯგუფს“ ასევე აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და უცხო სახელმწიფოების განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და შეღავათიანი კრედიტების მოპოვების გამოცდილება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან აქტიური მუშაობის შედეგად, „კორპორაციამ“ აღნიშნული ბანკისაგან 2020 წელს 211,537 ათასი ევროს ოდენობის სესხი აიღო, რომლის მეშვეობით მოხდა 2016 წლის ევროობლიგაციების სასესხო ვალდებულების ხელსაყრელი პირობებით დაფარვა. აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება „კორპორაციის“ გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს და ასევე, მნიშვნელოვნად ამცირებს მის საფინანსო დანახარჯებს.

„ჯგუფი“, შესაბამის სუბიექტებთან ერთად, განიხილავს გარდაბანი 3 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის პროექტში განხორციელების პერსპექტივებს (მათ შორის, უცხოური ინვესტორის მონაწილეობით პროექტის განხორციელების შესაძლებლობებს).

4. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება და განვითარება

„ჯგუფი“ წარმოადგენს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მესაკუთრეს და ტრანსპორტირების ლიცენზიანტთან - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან“ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე პასუხისმგებელია „მგს“-ზე კაპიტალური სამუშაოების განხორციელებაზე (რემონტი, რეაბილიტაცია და სხვა).

„საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის №129 დადგენილების მიხედვით, „ჯგუფი“ 2026 წლამდე პერიოდში პასუხისმგებელია ამავე დადგენილებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო პროექტების შესრულებაზე. „კანონის“ შესაბამისად, მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგს „მგს“-ის მოვლა-პატრონობის ვალდებულება სრული მოცულობით (კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩათვლით) ბუნებრივი გაზის გადამცემის სისტემის ლიცენზიანტს დაეკისრება.

5. საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის არსებული და დაგეგმილი სატრანზიტო პროექტების განვითარების აქტიური მხარდაჭერა

საქართველოზე გამავალი მოქმედი და პოტენციური სატრანზიტო პროექტების განვითარების აქტიური მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მიერ „ჯგუფზე“ დაკისრებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რისთვისაც „კორპორაციას“ შესაბამისი მოლაპარაკებების წარმოებისა და პროექტებში მონაწილეობის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.

„კორპორაცია“ სახელმწიფოს მიერ დანიშნულია მის წარმომადგენლად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის (სამხრეთ კავკასიური მილსადენი) პროექტებში.

1996 წლიდან „კორპორაცია“ ჩართულია ბაქო-სუფსის ნავთობსადენის (დასავლეთის საექსპორტო მიმართულების მილსადენი) პროექტშიც, როგორც მილსადენის ქართული სექციის მესაკუთრე. „კორპორაციას“ გადაცემული აქვს მილსადენის პროექტის მონაწილეობისათვის მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ოპერირების უფლება. „ჯგუფი“ დაინტერესებულია და სწავლობს მილსადენით ნავთობის დამატებითი მოცულობების ტრანსპორტირების და მისი შემდგომი ფუნქციონირების საკითხებს, რაც დამატებითი შემოსავლის მომტანი იქნება „კორპორაციისათვის“. ამასთან ერთად, „ჯგუფი“ მუშაობს აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფანში ნავთობის დამატებითი ნაკადების მოზიდვის (მათ შორის, ნავთობით ვაჭრობის ოპერაციების მეშვეობით) და კომპლექსური გადაზიდვების (რკინიგზის ჩართვით) განვითარების მიმართულებითაც.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება და ენერგომატარებლების საერთაშორისო ტრანზიტის პროექტების განვითარება „ჯგუფის“ საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც „ჯგუფისა“ და სახელმწიფოსათვის დადებითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს.

„ჯგუფი“ მონაწილეობს ნავთობის ტრანსპორტირების ევრო-აზიური დერეფნის (იხ. ქვემოთ) პროექტსა და აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტში (იხ. ქვემოთ). „ჯგუფი“ დაინტერესებულია და აქტიურად მხარს უჭერს ტრანს-კასპიური გაზსადენის პროექტის (იხ. ქვემოთ) განხორციელებას (მათ შორის, ინტრა-

კასპიური გაზსადენის ფორმატში), რომელიც, წარმატებული განხორციელების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს საქართველოზე გამავალი გაზის ტრანსპორტირების არსებული მარშრუტის დატვირთვას, ხოლო პერსპექტივაში - დამატებითი სატრანზიტო პროექტების ინდენტიფიცირებასა და რეალიზებას.

6. ახალი ენერგეტიკული კანონმდებლობით იმპლემენტაციის პროცესში ჩართულობა

„ჯგუფი“ აქტიურად ჩართულია ახალი ენერგეტიკული კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცესში, რაც მიზნად ისახავს „ჯგუფის“ ოპერაციებზე ზეგავლენასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების დროულ გამოვლენას და მათი თავიდან აცილებისა და/ან შემცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას.

7. რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებული სამართლებრივი ბაზისა და საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების იმპლემენტაციის მეშვეობით

„კორპორაციის“ სტრატეგიის, ანალიზისა და პერსპექტიული პროექტების და ტექნიკური დეპარტამენტები მუშაობენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის, ენერგიის დამატებითი წყაროების, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებებით და ადგენენ გრძელვადიან პროექტებს, რომლის შესრულება და დანერგვა ხდება ეტაპობრივად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „ჯგუფს“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დაყენებული აქვს საკითხი სოციალური გაზის სექტორის გაუმჯობესების სფეროში ოპერირების პირობების გაუმჯობესების თაობაზე, რაც ბუნებრივი გაზის მითითებული სექტორის სუბსიდირების გაზრდილ ტვირთს უკავშირდება.

საინვესტიციო საქმიანობა

შპს „გარდაბნის თბოსადგური“ - გარდაბნის რეგიონში განხორციელებული კომბინირებული ციკლის ახალი ენერგოეფექტური თბოელექტროსადგურის პროექტი

შპს „გარდაბნის თბოსადგური“ დაარსდა 2013 წლის ოქტომბერში. ახალი შვილობილი კომპანია შეიქმნა „კორპორაციისა“ და სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) წილობრივი მონაწილეობით 51% და 49% შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალმა შეადგინა 175,185 ათასი ლარი. 2022 წლის დეკემბერში „კორპორაციამ“ გამოისყიდა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 49%-იანი წილი სს „საქართველოს განვითარების ფონდისაგან“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) და გახდა კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრე. თუმცა, იმ შემთხვევაში თუკი 2023 წლის ბოლომდე გარდაბნის თბოსადგური არ გასხვისდებოდა „კორპორაციას“ უნდა დაებრუნებინა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 21.716%-ი წილი სს „საქართველოს განვითარების ფონდისათვის“ (ყოფილი: სს „საპარტნიორო ფონდისათვის“). 2023 წლის განმავლობაში, შპს „გარდაბნის თბოსადგური“-ს გასხვისებას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად 2024 წლის 18 იანვარს, დადგენილების პირობების შესაბამისად, ჯგუფმა დაუბრუნა შპს „გარდაბნის თბოსადგურში“ არსებული წილების 21.716%-ი სს „საქართველოს განვითარების ფონდს“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“).

2024 წლის 1 თებერვალს, სს „განვითარების ფონდმა“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 21.716%-იანი წილი სს „საქართველოს რკინიგზას“ გადასცა, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ არამაკონტროლებელ აქციონერს წარმოადგენს.

შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მოსაყვანად. სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2015 წლის ივლისში. 2015 წლის სექტემბრიდან გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა დაიწყო შემოსავლის გენერირება.

2024 წელს შპს „გარდაბნის თბოსადგური“ გამოიმუშავა საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის 7.7%. 2024 წელს შპს „გარდაბნის თბოსადგური“-ს მიერ წარმოებულმა ელექტროენერგიის მოცულობამ შეადგინა 1,099 მგვტ. სთ (2023: 1,041 გვტ. სთ).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ოპერირებაში ჩართულია უმეტესწილად ადგილობრივი კადრები და დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 243 თანამშრომელს.

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ - გარდაბნის რეგიონში განხორციელებული კომბინირებული ციკლის ენერგოეფექტური მეორე თბოელექტროსადგურის პროექტი

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ დაფუძნდა 2016 წლის აგვისტოში. 2019 წლის დეკემბერში დასრულდა ყველა ძირითადი სამშენებლო სამუშაოები და იმავე თვიდან თბოსადგურმა სატესტო რეჟიმში დაიწყო ოპერირება. 2020 წლის განმავლობაში „ჯგუფის“ მიერ მოხდა სესხის გაცემა გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსებისთვის.

2020 წლის მარტში შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-მა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან (შემდგომში: „სემეკ“-ი) მიიღო ოპერირების ლიცენზია და ამ პერიოდიდან სრულად შევიდა ექსპლუატაციაში. გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის სრულად დატვირთვა მოხდა 2020 წლის ივლისიდან.

გარდაბნის ახალი კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის დაგეგმილი სიმძლავრე 230 მგვტ-ს შეადგენს. 2024 წლის განმავლობაში შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის მიერ წარმოებულმა ელექტროენერგიის მოცულობამ გადააჭარბა 1,143 მგვტ.სთ-ს. შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-მა 2024 წლის განმავლობაში გამოიმუშავა საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის 8.0%. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს ოპერირებაში ჩართულია უმეტესწილად ადგილობრივი კადრები და დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 210 თანამშრომელს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანიის კაპიტალმა შეადგინა 266,979 ათასი ლარი.

შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“ - გარდაბნის მესამე თბოელექტროსადგურის პროექტი

2021 წლის მარტში დაფუძნდა შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“ - ახალი შვილობილი კომპანია, რომლის საწესდებო კაპიტალი თავდაპირველად განისაზღვრა 10,000 ათასი ლარით. კომპანიის 100% წილის მფლობელი არის „კორპორაცია“. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაიზარდა 7,376 ათას ლარამდე. შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“ შექმნილია ქ. გარდაბანში მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობის და შემდგომი ოპერირების განხორციელების მიზნით.

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“

2021 წლის 25 მარტის №129 „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიხედვით, შეირჩა დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელი. აღნიშნული მოდელის მიხედვით „კორპორაცია“ ინარჩუნებს „მგს“-ის კონტროლს, ახალი ენერგეტიკული კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. „მგს“-ის მესაკუთრეა „კორპორაციის“ 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით ჩამოყალიბებული შვილობილი კომპანია - შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“. შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის

გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ კაპიტალში „მგს“-ის შეტანის შემდეგ, მან ჩაანაცვლა „კორპორაცია“ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან“ გაფორმებულ „მგს“-ის იჯარის ხელშეკრულებაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალმა შეადგინა 249,322 ათასი ლარი.

შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“- მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტი

2018 წლის ოქტომბერში „ჯგუფმა“, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, დააფუძნა შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“, რომელიც სამგორის სამხრეთი თაღის საბადოს ბაზაზე აპირებდა საერთაშორისო სტანდარტების მქონე მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობას.

მიწისქვეშა გაზსაცავის ძირითადი დანიშნულებაა: სახელმწიფოს ენერგოუსაფრთხოების /დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება; პიკური მოხმარებისა და მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტით წარმოშობილ კრიტიკულ პერიოდში, დაცული, უწყვეტი, გარანტირებული გაზმომარაგების უზრუნველყოფა. ასევე, გაზის მიწოდების სისტემის მოქნილობის ზრდა და საკუთარი ძალებით სეზონური დისბალანსის რეგულირების შესაძლებლობა. აგრეთვე, ევრო გაერთიანების წინაშე ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ნაწილში ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ უსაფრთხო მიწოდების სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

პროექტის განხორციელებისთვის „ჯგუფმა“ მოიზიდა 150 მლნ. ევროს ოდენობის შეღავათიანი სესხი გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკისაგან – KfW Development Bank.

იმის მიუხედავად, რომ „ჯგუფისა“ და ქვეყნისთვის პროექტი ინარჩუნებს აქტუალობას, მისი განხორციელება ამ ეტაპზე შეჩერებულია, რაც შემდეგ ფაქტორებს უკავშირდება:

საქართველოს მთავრობასა და KfW-ს შორის მიღწეული, გაფორმებული შეთანხმების თანახმად, პროექტის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი სესხის თანხიდან 120 მილიონი ევრო მიმართული იყო COVID-19 პანდემიის ბრძოლასა და პრევენციასთან დაკავშირებული სამთავრობო პროგრამების მხარდასაჭერად. აქედან გამომდინარე, სესხის ოდენობა „კორპორაციისთვის“ შემცირდა 30 მილიონ ევრომდე და შესაბამისი ცვლილებები შევიდა „კორპორაციასა“ და KfW-ს შორის 2018 წელს გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებაში. საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, 2025 წლის თებერვალში, სესხის ხელშეკრულება გაუქმდა.

დღევანდელი მდგომარეობით, „ჯგუფი“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად განიხილავს პროექტის განხორციელების შემდგომ სტრატეგიასა და ალტერნატივებს.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ პარტნიორებს წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №145 დადგენილებით გათვალისწინებული კომპანიები, რომელთაგან თითოეულს საზოგადოების კაპიტალში თანაბარი 25%-იანი წილი ეკუთვნის. 2024 წლის განმავლობაში „კორპორაციამ“ 1,758,545.0 ლარის ოდენობის ფულადი შენატანით გამოისყიდა სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ 25%-იანი წილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისგან“. 2024 წლის განმავლობაში „კორპორაციამ“ განახორციელა 920,100 ლარის ოდენობის ფულადი შენატანი სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაში“, კომპანიის საოპერაციო ხარჯების უზრუნველსაყოფად.

შპს „საქართველოს გაზის ბირჟა“

2021 წლის 15 ოქტომბერს, „კომპანიამ“, შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან" ერთად, თითოეულის 50%-იანი მონაწილეობის წილით, დააარსა ბუნებრივი

გაზის ბაზრის ოპერატორი შპს "საქართველოს გაზის ბირჟა", "ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის" მოთხოვნების მიხედვით.

GOGC Trading S.A

2017 წლის აგვისტოში, დარეგისტრირდა ახალი შვილობილი კომპანია „GOGC Trading SA“, რომლის რეგისტრირებული მისამართია ჟენევა, შვეიცარია. „ჯგუფის“ მიზანს წარმოადგენს ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობ-ქიმიკატების და სხვა საქონლით ვაჭრობა, ასევე ლოგისტიკა, აღნიშნული შვილობილი კომპანიის მეშვეობით. „კომპანია“ 100%-იან წილს ფლობს შვილობილ კომპანიაში, ფიქსირებული სააქციო კაპიტალით 100,000 შვეიცარული ფრანკის ოდენობით.

2020 და 2019 წლებში დამატებითი შენატანი 450 ათასი და 450 ათასი შვეიცარული ფრანკის ოდენობით, შესაბამისად, განხორციელდა GOGC Trading SA-ის კაპიტალში. 2024 წლის განმავლობაში „GOGC Trading S.A“-ში ნაღდი ფულით განხორციელებულმა შენატანებმა 60 ათასი შვეიცარული ფრანკი შეადგინა.

„სარმატია“ - ნავთობის ტრანსპორტირების ევრო-აზიური დერეფნის (EAOTC) პროექტის განმახორციელებელი საერთაშორისო კომპანია

საქართველო წარმოადგენს სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სტრატეგიული პროექტების განხორციელება. სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის შემადგენელი ევრო-აზიის ნავთობის სატრანსპორტო დერეფნის (EAOTC) განვითარების შედეგად, კიდევ უფრო გაიზრდება ევროკავშირისა და პროექტის მონაწილე ქვეყნების ენერგოუსაფრთხოების ხარისხი. „კორპორაცია“ EAOTC პროექტის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და ხელშემწყობია, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, პოლონურ და ლიეტუვას წამყვან ნავთობკომპანიებთან ერთად.

ევრო-აზიის ნავთობის სატრანსპორტო კორიდორის (EAOTC) პროექტის მიზანია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგოუსაფრთხოების ამაღლება კასპიის ზღვის რეგიონიდან - აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის საიმედო მარშრუტის ჩამოყალიბების მეშვეობით. EAOTC ძირითადად მოიცავს არსებულ ნავთობის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურას. დამატებით გათვალისწინებულია ახალი, 700 მმ დიამეტრის მილსადენის მშენებლობა ბროდიდან (უკრაინა) ადამოვოს (პოლონეთი) მიმართულებით, შემდგომ კი „დრუჟბას“ არსებული მილსადენების სისტემის გამოყენება. მანძილი ბროდიდან ადამოვოს სატუმბო სადგურამდე დაახლოებით 397 კმ-ია.

დაგეგმილია EAOTC პროექტის ეტაპობრივი რეალიზება 20 მლნ. ტონამდე წლიური გამტარუნარიანობით. პირველ ეტაპზე ტექნიკურად შესაძლებელი იქნება კასპიის ზღვის რეგიონიდან ყოველწლიურად 10 მლნ ტონამდე ნავთობის მიწოდება ევროპის ქვეყნებში იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ბაზრის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისათვის ნავთობის მიწოდება ტრადიციული წყაროებიდან შეწყდება, მნიშვნელოვნად შემცირდება საგანგებო სიტუაციების ან პოლიტიკური მიზეზის გამო.

განვითარების მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია აზერბაიჯან-საქართველოს მონაკვეთზე ახალი, დაახლოებით 830 კმ სიგრძის ნავთობსადენის მშენებლობა ან რკინიგზის გამტარუნარიანობის გაზრდა.

რეგიონში უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, მათ შორის, რუსული ნავთობის მიწოდებასთან დაკავშირებული 2019 წლის აპრილ-ივნისში განვითარებული ინციდენტი, რომელმაც შეაფერხა ევროპის ზოგიერთი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მუშაობა და/ან გამოიწვია სახელმწიფოთა

სტრატეგიული მარაგების გაუმართლებელი ხარჯვა, მნიშვნელოვნად ამაღლებს პროექტის რეალიზაციის აქტუალურობას.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, ისევე როგორც აზერბაიჯანი, ფლობს საკმარის ინფრასტრუქტურას (მილსადენები, რკინიგზა, საზღვაო ტერმინალები) საწყის ეტაპზე ნავთობის შეუფერხებელი მიწოდებისათვის ოდესა-ბროდი, ბროდი-პლოცკის მიმართულებით.

მიმდინარე პერიოდისათვის დასრულებულია EAOTC პროექტის დღეისათვის ერთადერთი დაუკომპლექტებელი ბროდი (უკრაინა)-ადამოვოს (პოლონეთი) მონაკვეთის ტედ-ის (Feasibility Study) განახლებული ვერსია, იგეგმება მისი ხელშემწყობი სამუშაოთა გააქტიურება.

პროექტს 2020 წლის დეკემბერში ევროკავშირის ერთობლივი ინტერესებისა (PCI) და ენერგეტიკული გაერთიანების ერთობლივი ინტერესების (PECI) პროექტის სტატუსი მიენიჭა (ფაქტობრივად გაუგრძელდა ადრე მინიჭებული სტატუსი).

2024 წელს „კორპორაციის“ მონაწილეობით განხორციელებულა „სარმატიას“ საწესდებო კაპიტალის გაზრდა, კორპორაციის წილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 907,433 ლარს.

„სარმატიას“ მმართველი გამგეობის რეკომენდაციის საფუძველზე, რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით რეგიონში ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, რადგან პროექტის განვითარებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულება დღევანდელ ეტაპზე შეუძლებელია, დამფუძნებელ პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიის აქტიური ფუნქციონირების შეჩერების (დაპაუზების) შესახებ, მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 2 წლის ვადით 2027 წლის 1 აპრილამდე.

AGRI LNG Project Company S.R.L - აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის განმახორციელებელი საერთაშორისო კომპანია

აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტი (AGRI) ითვალისწინებს აზერბაიჯანული და პერსპექტივაში, ცენტრალურ-აზიური ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით რუმინეთსა და ევროპის ბაზრებზე, რაც საქართველოს სანაპიროზე გაზის გამათხევადებელი ქარხნის და ტერმინალის მშენებლობასა და გათხევადებული გაზის რუმინეთამდე სატანკერო გადაზიდვებს გულისხმობს. რუმინეთში რეგაზიფიკაციის შემდეგ გაზი მილსადენებით მიეწოდება რუმინეთისა და უნგრეთის, აგრეთვე ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს. პროექტი უზრუნველყოფს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გაზის ბაზრის დამოკიდებულების შერბილებას დომინანტი მიმწოდებლისაგან როგორც მიწოდების წყაროს, ისე მარშრუტის დივერსიფიკაციის საშუალებით. მიმდინარე პერიოდისათვის პროექტის განმახორციელებელი ერთობლივი AGRI LNG Project Company S.R.L. საწესდებო კაპიტალი განაწილებულია დამფუძნებლებს შორის შემდეგი პროპორციით: ROMGAZ (რუმინეთი) - 25% MVM (უნგრეთი) - 25%, SOCAR (აზერბაიჯანი) - 25%, „კორპორაცია“ - 25%.


პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, გარკვეული ხელისშემწყობი წინაპირობების ჩამოყალიბების და მათ შორის, შაჰ-დენიზის საბადოს შემდგომი ათვისების და ბუნებრივი გაზის დამატებითი მოცულობების სხვა წყაროებიდან (აზერბაიჯანში მოპოვების ზრდა და ცენტრალურ-აზიური ქვეყნებიდან გაზის მოწოდება) მიღების შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება პროექტის იმპლემენტაციის ფაზის დაწყება, რაც ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის განახლებას და პროექტის პრაქტიკული განხორციელებისაკენ მიმართული სხვა ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს.

ენერგეტიკული გაერთიანების ექსპერტების შეფასებით, AGRI-ს რეალიზაციის შემთხვევებელ ძირითად ფაქტორად პროექტის მაღალი ინვესტიცია ჩაითვალა, რაც ძირითადად სახმელეთო გამათხევადებელი საწარმოს მოწყობის მაღალი დანახარჯებით არის განპირობებული. თუმცა, 2010-2012 წლის პერიოდთან შედარებით (როცა პროექტის ტექნიკური ანგარიში მომზადდა), დღეისათვის გამათხევადებელი საწარმოს მშენებლობის ღირებულება საშუალოდ 30 – 50 %-ით არის შემცირებული. ამ ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებული აქტივობები შეჩერებულია.

TCP-White Stream Project Company - ტრანსკასპიური მილსადენი „თეთრი ნაკადის“ პროექტების განმახორციელებელი კომპანია

„კორპორაცია“ ტრანსკასპიური მილსადენის - „თეთრი ნაკადის“ პროექტების განმახორციელებელი კომპანიების 10%-იანი წილის მფლობელია. აღნიშნული პროექტების დანიშნულებაა თურქმენული გაზის მიწოდება ევროპულ ბაზარზე კასპიის ზღვის ოფშორული, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების გადამკვეთი და შავი ზღვის ოფშორული მილსადენების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ტრანსკასპიური მილსადენის პროექტი შესულია ევროკავშირის ერთობლივი ინტერესების პროექტის (PCI) სტატუსის მქონე პროექტების ჩამონათვალში. 2024 წელს აღნიშნულ საქმიანობაზე თანხა არ ყოფილა დახარჯული.

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები



„ჯგუფში“ რისკების მართვა ხორციელდება რისკების მართვის სისტემის საფუძველზე, რომელიც გაწერილია კორპორაციის შიდა პოლიტიკაში. „ჯგუფის“ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები არის შემდეგი:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს „ჯგუფის“ ხარჯებს. „ჯგუფი“ აქტიურად თანამშრომლობს სემეკ-თან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ამ რისკის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისთვის.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყნისა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან, მეზობელ ქვეყნებში არეულობისა და საომარი მოქმედებების რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში „ჯგუფი“ ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით. ძირითადი ფინანსური რისკები განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

იურიდიული რისკები. : „ჯგუფს“ თავისი მრავალმხრივი და ხანგრძლივი ოპერაციების გათვალისწინებით აქვს იურიდიული რისკები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხები და ცვლილებები ასახულია „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ „კორპორაციას“ და ესტონეთის მოქალაქე თომას თულს შორის 2010-2011 წლების შემდეგ საქართველოს საერთო სასამართლოებში მიმდინარეობდა ოთხი სასამართლო (ერთი სამოქალაქო და სამი ადმინისტრაციული) დავა. აღნიშნული დავებიდან ძირითად დავას წარმოადგენდა სამოქალაქო დავა, რომლის ფარგლებშიც „კორპორაციის“ მოთხოვნას წარმოადგენდა თომას თულს მიწის ნაკვეთებზე აუცილებელი გზის უფლების მოპოვება, ხოლო თომას თული ითხოვდა მის მიწის ნაკვეთებზე მდებარე „კორპორაციის“ კუთვნილი გაზსადენების დემონტაჟს. ფაქტიურად, ხსენებული სამოქალაქო დავის შედეგებზე იყო დამოკიდებული დანარჩენი სამივე ადმინისტრაციული დავის შედეგები. შესაბამისად, სამოქალაქო დავის დასრულებამდე შეჩერებული იყო შემდეგი ორი ადმინისტრაციული დავა - ა) საჯარო რეესტრში „კორპორაციის“ კუთვნილი ხაზოვანი ნაგებობების დარეგისტრირებასთან დაკავშირებული დავა და ბ) მშენებლობის ნებართვის ბათილობასთან დაკავშირებული დავა. მესამე ადმინისტრაციული დავა (გაზსადენის ექსპლუატაციაში მიღების აქტის ბათილობასთან დაკავშირებული დავა) შეჩერებულია მშენებლობის ნებართვის ბათილობასთან დაკავშირებული დავის დასრულებამდე.

სამოქალაქო დავა საქართველოს საერთო სასამართლოებში დასრულდა „კორპორაციის“ სასარგებლოდ (უზენაესი სასამართლოს დასაბუთებული განჩინება „კორპორაციას“ მოეწოდა 2025 წლის 23 იანვარს), რის შემდეგაც, „კორპორაციამ“ სამოქალაქო დავის დასრულებამდე შეჩერებული ადმინისტრაციული დავების განახლების შუამდგომლობით მიმართა რუსთავის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებს. მიმდინარე წლის 17 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოში ჩატარებულ სხდომაზე თომას თულს წარმომადგენელმა სარჩელი გამოიხმო, რის საფუძველზეც სასამართლომ თომას თულს სარჩელი განუხილველად დატოვა.

ინფორმაცია ჯგუფის მიერ გაცემული დივიდენდების შესახებ

2024 წლის განმავლობაში „კორპორაციას“ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ არ გაუნაწილებია დივიდენდი. აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

ა) EBRD-თან გაფორმებული სესხის პირობების თანახმად, „კორპორაციას“ არ აქვს უფლება გაანაწილოს დივიდენდი იმ პირობებში, როდესაც დარღვეულია ფინანსური ან არა-ფინანსური კოვენანტები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფს“ დარღვეული აქვს დეკარბონიზაციის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სამოქმედო გეგმის (არა-ფინანსური კოვენანტები) შესრულების ვალდებულება, რაც სესხის ხელშეკრულების მითითებული დანაწესის გათვალისწინებით შეუძლებელს ხდის დივიდენდის განაწილებას;

ბ) „კორპორაცია“ მის მიერ მიღებულ პრაქტიკულად მთელ შემოსავალს მიმართავს ქვეყნის გაზომვადობის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი გაზის მოცულობების იმპორტის, სოციალური გაზის სექტორის სუბსიდირების და მაგისტრალური გაზსადენების სისტემის რეაბილიტაციისა და ახალი მილსადენების მშენებლობის მიზნით. ამ ამოცანების გადაჭრა, ხშირ შემთხვევაში, გარე დაფინანსების მოზიდვის საჭიროებასაც იწვევს. 2022 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ, „ჯგუფის“ ლიკვიდურობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, „კორპორაციაზე“ გასცა 230 მილიონი ლარის ოდენობით სუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი სესხი. „კორპორაცია“ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ასრულებს აღებულ ვალდებულებებს, ხოლო სესხის დარჩენილი ნაწილის გადახდა დაგეგმილია 2025 წლის დეკემბერში. აღსანიშნავია, რომ სოციალური გაზის სექტორის სუბსიდირების და სხვა რიგი ფაქტორების გამო „კორპორაციამ“ 2021-2023 წლების განმავლობაში გაზის ოპერაციების სეგმენტიდან 254.76 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი მიიღო. ზემოთქმულისა და „ჯგუფის“ წინაშე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით, დივიდენდის განაწილების საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა.

კორპორატიული მართვა. კორპორაციის მმართველობითი ორგანოები

„კორპორაციაში“ კორპორატიული მართვის დუალისტური სისტემა არის დანერგილი.

კომპანიის კორპორატიული მართვის ორგანოებს წარმოადგენენ:

საერთო კრება:

საერთო კრება წარმოადგენს მართვის უმაღლეს ორგანოს. მის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა და წესდების ახალი რედაქციის მიღება;

ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;

გ) საზოგადოების მართვის სისტემის შეცვლა;

დ) საზოგადოების რეორგანიზაცია;

ე) საზოგადოების დაშლა, ლიკვიდატორის დანიშვნა, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცება;

ვ) საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვაზე ნებართვის გაცემა;

ზ) განთავსებული კაპიტალის ცვლილება;

თ) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანამდებობაზე არჩევა და ვადამდე გამოწვევა, ანაზღაურების ოდენობის და სტრუქტურის განსაზღვრა;

ი) საზოგადოების აუდიტის ანგარიშის დამტკიცება;

კ) ფინანსური ანგარიშის დამტკიცება და დივიდენდების განაწილება;

ლ) საერთო კრების მიმდინარეობის წესის დადგენა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა;

მ) საზოგადოების დირექტორთა საბჭოს, მისი წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესებში მონაწილეობა;

ნ) საზოგადოების მიერ ახალი საწარმოს დაფუძნება, სხვა საწარმოებში წილთა შეძენა ან გასხვისება, ასევე ამ საწარმოთა ლიკვიდაცია;

ო) აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრა;

პ) აქციათა ნომინალური ღირებულების ცვლილება და დამატებითი აქციების განთავსება;

ჟ) დირექტორების/ხელმძღვანელი ორგანოს წევრების (მათ შორის, გენერალური დირექტორის) დანიშვნის და გათავისუფლების თაობაზე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შეთანხმება/მოწონება, ასევე დირექტორების/ხელმძღვანელი ორგანოს წევრების სახელფასო განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეთანხმება/მოწონება;

რ) საზოგადოების აქციების განკარგვა;

ს) საზოგადოების მიერ ფილიალის/წარმომადგენლობის შექმნა და/ან ლიკვიდაცია;

ტ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, ვადიან სარგებლობაში გაცემა (იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი და ა. შ.) და/ან დატვირთვა (გარდა „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფოსა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სალიცენზიო ფართობზე მიკუთვნებული და სალიცენზიო ფართობზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად საჭირო უძრავი ქონების ინვესტორისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემისა. აღნიშნული ქონების ინვესტორისათვის გადაცემა არ საჭიროებს აქციონერთა საერთო კრებასთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებას);

უ) საზოგადოების საკუთრებაში არსებული და საზოგადოების საქმიანობისათვის პროფილური ობიექტებისა და მოძრავი ქონების გასხვისების, ვადიან სარგებლობაში გადაცემის (რეალიზაცია, იჯარით ან კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფორმით სხვა პირისთვის სხვაგვარად გადაცემა), დატვირთვის და ჩამოწერის შესახებ – ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და გამონაკლისის გარეშე (გარდა „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფოსა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, სალიცენზიო ფართობზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად საჭირო მოძრავი ქონების ინვესტორისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემისა. აღნიშნული ქონების ინვესტორი კომპანიისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავად საზოგადოება), ხოლო არაპროფილური ობიექტის და მოძრავი ქონების დატვირთვის, გასხვისების (რეალიზაცია, იჯარით ან კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფორმით სხვა პირისთვის სხვაგვარად გადაცემა) და ჩამოწერის შესახებ საკითხის შეთანხმება აქციონერთა კრებასთან საჭიროა, თუკი არაპროფილური ობიექტებისა და მოძრავი ქონების ღირებულება 1 წლის განმავლობაში ცალკე ან ჯამურად აღემატება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს;

ფ) საზოგადოების მიერ სესხების/კრედიტების აღება და გაცემა;

ქ) საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ რეკომენდაციის შემუშავება;

ღ) საზოგადოების განვითარების ბიზნეს-გეგმის (ბიუჯეტის) დამტკიცება;

ყ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

შ) ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა;

ჩ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

ც) სესხების/კრედიტების უზრუნველყოფა;

ძ) საზოგადოების საქმიანობის წლიური ანგარიშის დამტკიცება;

წ) გენერალური სავაჭრო მინდობილობის გაცემა და გაუქმება;

ჭ) საზოგადოების საფირმო სახელწოდებისა და იურიდიული მისამართის შეცვლა;

ხ) საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ჯ) იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ განეკუთვნება გენერალური დირექტორის, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას;

3) „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა აქციონერთა კრებაზე დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა. ხმების 100%-ის მფლობელი აქციონერის წერილობითი გადაწყვეტილება (ბრძანება ან რეგისტრირებული წერილი) საერთო კრების უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება საერთო კრების გადაწყვეტილებად.

„კორპორაციის“ აქციების 100%-ის ერთად-ერთ მფლობელ აქციონერს წარმოადგენს „სახელმწიფო ქონების სააგენტო“, რომელსაც აქციონერის პრაქტიკულად სრული უფლებამოსილება „მმართველი პირისთვის“ აქვს გადაცემული.

სამეთვალყურეო საბჭო:

„კორპორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა 3 წევრით არის განსაზღვრული.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა და გამოწვევის უფლებამოსილება „სახელმწიფო ქონების სააგენტოს“ კომპეტენციას განეკუთვნება.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს მის საქმიანობას, თავმჯდომარეობს მას და წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობებში. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მიღებულად ჩაითვლება ის გადაწყვეტილება, რომელსაც მხარს დაუჭერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება ორი წევრი მაინც.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია შემდეგია:

ა) სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დ) სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს საზოგადოებას დირექტორებთან ურთიერთობებში, მათ შორის სასამართლოში;

ე) სამეთვალყურეო საბჭოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება;

ვ) სამეთვალყურეო საბჭო, საზოგადოების აქციათა 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერთან შეთანხმებით, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალურ დირექტორს და დირექტორებს, განსაზღვრავს მათ სახელფასო განაკვეთებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს სასამსახურო ხელშეკრულებებს;

ზ) ამტკიცებს დირექტორთა საბჭოს შინაგანაწესს და ცვლილებები შეაქვს მასში. „კორპორაციის“ წესდების, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა არის აუცილებელი ისეთი საქმიანობის განხორციელების დროს, როგორიცაა:

ა) წლიური ბიუჯეტისა (ბიზნეს-გეგმა) და იმ გრძელვადიანი (2 წელზე მეტი) ვალდებულებების (2 წელზე მეტი) მიღება, რომლებიც ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში ცალკე აღემატება 100 ათას ლარს;

ბ) ვალდებულებების აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში ცალკე ან ჯამურად აღემატება 1 მილიონ ლარს, გარდა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისა;

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებას საჭიროებს ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების ანგარიშგება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 181-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით და/ან „დირექტორთა საბჭოს“ წინადადების გათვალისწინებით, დაადგინოს დივიდენდის რეკომენდირებული ოდენობა.

სამეთვალყურეო საბჭოში შექმნილია და ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი.

„კორპორაციის“ სამეთვალყურეო საბჭო, „დირექტორთა საბჭოსთან“ ერთობლივად, ყოველწლიურად ამზადებს „კგგ“-ს პროექტს, საქართველოს მთავრობის „№1012 განკარგულების“ მოთხოვნათა შესაბამისად. აქციონერთა კრების და სამეთვალყურეო საბჭოს შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 11 სხდომა.

ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორთა საბჭო:

საზოგადოებას ჰყავს გენერალური დირექტორი, დირექტორი ფინანსურ და ქონების მართვის საკითხებში, დირექტორი კომერციულ საკითხებში და დირექტორი ტექნიკურ საკითხებში, რომლებიც ქმნიან დირექტორთა საბჭოს.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობს და მის მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორი და დირექტორები ანგარიშვალდებული არიან სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა კრების წინაშე.

დირექტორთა საბჭო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს დირექტორთა საბჭოს შინაგანაწესის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

დირექტორთა საბჭო წარმოადგენს „კორპორაციას“ მესამე პირებთან ურთიერთობებში და უძღვება მის ყოველდღიურ საქმიანობას, ამტკიცებს საზოგადოების სტრუქტურას, შინაგანაწესს, საქმისწარმოების წესს, საშტატო განრიგსა და საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებს.

დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სამი დირექტორი მაინც.

დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით. ამასთან, დირექტორებს არა აქვთ უფლება თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ხმების თანაბრად გაყოფა, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება გენერალურ დირექტორს.

დირექტორთა საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ გენერალური დირექტორის მიერ. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს (გენერალურ დირექტორს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს დირექტორთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა. დირექტორებს უფლება აქვთ გენერალური დირექტორის წინაშე დასვან საკითხი დირექტორთა საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, თუ განსახილველი საკითხი საჭიროებს საბჭოს გადაუდებელ გადაწყვეტილებას.

გენერალურ დირექტორს და დირექტორებს თანამდებობაზე ნიშნავს, ათავისუფლებს და მათ სახელფასო განაკვეთებს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო, საზოგადოების აქციათა 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერთან შეთანხმებით.

საზოგადოების ხელმძღვანელობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მეშვეობით ან დამოუკიდებლად დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ, საზოგადოების წესდების და დირექტორთა საბჭოს შინაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მესამე პირებთან ურთიერთობებში საზოგადოებას წარმოადგენს გენერალური დირექტორი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებითა და ამ შინაგანაწესით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოების წარმომადგენლობის უფლება გააჩნიათ დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებსაც.

კონტროლის დეპარტამენტი

კონტროლის დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს „კორპორაციის“ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ დეპარტამენტი:

- აქტიურად არის ჩართული „კორპორაციის“ წლიური ბიზნეს-გეგმის განხორციელების პროცესში, წლიური და პერსპექტიული სამუშაო გეგმის საფუძველზე მიღებული დავალებების შესასრულებლად;
- აკონტროლებს კორპორაციის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, განსაზღვრავს აქტუალურ საკითხებს, მოსალოდნელ რისკებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად;
- აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს „კორპორაციის“ თანამშრომელთა მხრიდან შინაგანაწესის დაცვაზე.
- საკითხთა შესწავლისას გამოვლენილი ხარვეზების, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რეკომენდაციებს წარუდგენს „კორპორაციის“ დირექტორთა საბჭოს.

გაწეული მუშაობის შედეგად უზრუნველყოფილია „კორპორაციის“ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წარმართვა გეგმაზომიერად, შემუშავებული პროცედურების, წესის, რეგლამენტის მიხედვით, მინიმუმამდეა შემცირებული გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები, ადამიანური და მატერიალური ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური, ფინანსური და შრომითი რესურსების დანაკარგები.

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება, გაკონტროლება და მათზე ადეკვატური რეაგირება „ჯგუფის“ გარემოსდაცვითი სტრატეგიის ნაწილია.

„ჯგუფის“ მიზანია დაადგინოს და მინიმუმამდე შეამციროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, რისთვისაც მუდმივად ზრუნავს საკუთარი გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესებაზე, არსებული პროცედურებისა და გეგმების მუდმივ განახლებაზე და თანამედროვე სტანდარტების დანერგვაზე. „კორპორაცია“ ავალდებულებს მის ყველა კონტრაქტორს, აგრეთვე, შვილობილ კომპანიებს, აწარმოონ სამუშაოები ქვეყანაში მოქმედი და საუკეთესო საეთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების სრული დაცვით და „კორპორაციის“ გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოს დაცვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების რისკების დონის განსაზღვრასა და შეფასებას, ამ რისკების შემცირების, აღმოფხვრის და საკომპენსაციო ქმედებების/ადეკვატური ზომების გატარებას. ასევე, მილსადენების, ჭაბურღილების, სხვა ტექნიკური ობიექტების და ახალი სისტემების პროექტირების, მშენებლობის და შემდგომი ექსპლუატაციის ფაზების წინასამშენებლო გარემოსდაცვითი კვლევების, მონიტორინგისა და გარემოზე ზემოქმედების შესწავლა-შეფასებას. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების და დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს სხვადასხვა წლიური ანგარიშების მომზადებას, ასევე გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებას და შესაბამის სტრუქტურებთან ანგარიშგება/შეთანხმებას.

2024 წლის განმავლობაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე გამოქვეყნებული გარემოსდაცვითი ანგარიშები დეტალურად აღწერს „ჯგუფის“ ზეგავლენას გარემოზე და მიუთითებს რამდენად დიდ ყურადღებას აქცევს „ჯგუფი“ გარემოსდაცვით საკითხებს თითოეული პროექტის განხორციელებისას.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ვიზრუნოთ ადამიანებზე და გარემოზე სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში ჩართულობისა და ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებისთვის ინიციატივების აღების გზით. ჩვენი თანამშრომლები პერიოდულად გეგმავენ გამწვანების აქციებს, ეხმარებიან გაჭირვებულ ადამიანებს ცხოვრების გაუმჯობესებაში, რიცხავენ თანხას სხვადასხვა ფონდებისათვის დაავადებული ადამიანების მკურნალობის ხარჯებისათვის და მონაწილეობენ საქველმოქმედო აქციებში.

ჩვენი ხედვებიდან, ფასეულობებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე კორპორაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებზე და გარემოზე ზრუნვა და სხვა სოციალურად საჭირო აქტივობები არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც კონცენტრირებულია კორპორაცია სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.


კორპორაცია აქტიურად ზრუნავს თანამშრომლებისათვის სასიამოვნო და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნით, და სხვადასხვა სოციალური და მატერიალური სარგებლის შეთავაზებით.

გარემოზე ზრუნვა არის თითოეული კომპანიის თუ პირის ვალდებულება. კორპორაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გარემოსდაცვით და გამწვანების პროექტებში/აქტივობებში, რომლებიც მიმართულია ჩვენი გარემოს გაუმჯობესებისკენ და საზოგადოებაში ამ კუთხით ცნობიერების ამაღლებისკენ. ჩვენ ვთვლით, რომ ჯანსაღი გარემო არის ჯანსაღი და წარმატებული მომავლის საწინდარი.

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 8 ივლისს და ხელმოწერილია:


გიორგი ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი


ეკატერინე ცისკარიძე

დირექტორი ფინანსურ და
ქონების მართვის საკითხებში